პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 222 (5323) | სამშაბათი, 27 სექტემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

პარტიაში მიღებას სერიოზული ყურადღება (მოწინავე)
მუშათა და კოლმეურნეთა წინასაოქტომბრო შეჯიბრება („პრავდის" მოწინავე)
საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი. თავი IX. (მე-2 გვ.)
კ. საფონოვი — როგორ ვემზადები პარტიის ისტორიის სწავლებისათვის (მე-3 გვ.)
ზ. მერკვილაძე — როგორ მიმდინარეობს აფხაზეთის პარტორგანიზაციის ზრდა (მე-3 გვერდი)

უცხოეთში:
ჰიტლერის მემორანდუმი (1-ლი გვ.)
პოლონელი ფაშისტების პროვოკაცია (1-ლი გვ.)
კამათი ერთა ლიგის მეექვსე (პოლიტიკური) კომისიაში (მე-4 გვ.)
თათბირი ვაშინგტონში (მე-4 გვ.)
საპროტესტო მოძრაობა ინგლისში ჩემბერლენის პოლიტიკის წინააღმდეგ (მე-4 გვ.)

პარტიაში მიღებას სერიოზული ყურადღება

სოციალისტური სამშობლოს ასეულ ათასობით მგზნებარე პატრიოტები ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, ცდილობენ ორგანიზებულად განამტკიცონ იდეური კავშირი მშობლიურ პარტიასთან — ჩადგნენ კომუნიზმის საქმისათვის შეუდრეკელ მებრძოლთა რიგებში.

ჩვენი პარტია, ბოლშევიკების პარტია მილიონი ძაფებითაა დაკავშირებული ხალხთან, რომელიც გამსჭვალულია პარტიისადმი მხურვალე სიყვარულის გრძნობით. სწორედ ამაშია ჩვენი პარტიის ძლიერების დაუშრეტელი წყარო.

„უპარტიო მუშათა ფართო მასები — გვასწავლის ამხანაგი სტალინი — ჩვენს პარტიას სთვლიან **თავიანთ** პარტიად, **ახლობელ და მშობლიურ** პარტიად, რომლის გაფართოებასა და განმტკიცებაში ისინი უაღრესად არიან დაინტერესებულნი და რომლის ხელმძღვანელობასაც ისინი ნებაყოფლობით ანდობენ თავიანთ ბედს".

სოციალისტური ინდუსტრიის სტახანოველები, საკოლმეურნეო მინდვრების წარჩინებული ადამიანები: კომბაინერები, ტრაქტორისტები, ბრიგადირები, საუკეთესო ინჟინრები, აგრონომები, მასწავლებლები მიისწრაფიან ლენინ-სტალინის პარტიის რიგებისაკენ — სურთ ატარონ კომუნისტის დიდი და საპატიო სახელი.

თვითეული პარტორგანიზაციისათვის თვითეული კომუნისტისათვის განა უაღრესად საპატიო საქმე არ არის დაეხმარონ ამ ამხანაგებს განახორციელონ თავისი რევოლუციური მისწრაფება?

ამოცანა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ ბოლშევიკურად მოვაწყოთ პარტიაში ამ ადამიანების მიღება და მათი იდეურ-პოლიტიკური აღზრდა. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სწორედ ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანა დაუსახა ყველა პარტიულ ორგანიზაციას.

„ჩაითვალოს ყველა პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ამოცანად — ნათქვამია საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 14 ივლისის გადაწყვეტილებაში — მუშაობა პარტიაში ახლად მიღებულებთან, ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდა ბოლშევიკური პარტიულობის სულისკვეთებით და მათი მოზიდვა პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის".

პარტიული ორგანიზაციების ზრდის ერთგვარი ანალიზი და ფაქტიური მასალები, რომლებსაც დღევანდელ ნომერში ვაქვეყნებთ, ცხადჰყოფს იმ გარემოებას, რომ ისეთ უმნიშვნელოვანეს საქმეში, როგორიც არის პარტიაში ახალ წევრთა მიღება, ბევრგან ჯერ კიდევ ადგილი აქვს მთელ რიგ არსებით ნაკლოვანებებს. უმთავრესია განცხადებების განხილვის გაჭიანურება, არაგულისხმიერი დამოკიდებულება ახლად მისაღებ ამხანაგებისადმი და არადამაკმაყოფილებელი მუშაობა საერთოდ პარტიის რეზერვთან.

განა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სისუსტით და უპარტიო აქტივისაგან პირველადი პარტიული ორგანიზაციების ერთგვარი მოწყვეტით არ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ მთელ რიგ ორგანიზაციებში არ ხდება პარტიის რიგების ზრდა?

განა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების შეუფასებლობით არ უნდა ავხსნათ ის ფაქტიც, რომ მთელ რიგ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არ არსებობენ თანამგრძნობთა ჯგუფები, ანდა თუ არსებობენ, მხოლოდ ფორმალურად?

აფხაზეთის მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში არ სწარმოებს სერიოზული აღმზრდელობითი მუშაობა თანამგრძნობთა შორის. სოხუმის რაიონის სოფ. წებელდის პარტორგანიზაციასთან ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა თანამგრძნობთა ჯგუფი, მაშინ როდესაც ამ სოფელში საკმარისად არიან მოწინავე კოლმეურნენი, აგრონომები, მასწავლებლები და სხვ., რომელთაც სურთ დაუახლოვდნენ პარტიას, გახდნენ ორგანიზებული თანამგრძნობნი.

გაგრის რაიონში ათ პარტიულ ორგანიზაციასთან სულ არ არსებობს თანამგრძნობთა ჯგუფი.

სოხუმის ელსადგურის პარტორგანიზაციასთან წინათ არსებობდა თანამგრძნობთა ჯგუფი, მაგრამ როდესაც თანამგრძნობები კანდიდატებად მიიღეს, თანამგრძნობთა ჯგუფი დაიშალა. ასევე გუდაუთის რაიონის ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციები არ აწარმოებენ არავითარ მუშაობას პარტიაში მიღებისათვის. სწორედ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ჩაშლით და პირველადი პარტორგანიზაციის უპარტიო აქტივისაგან მოწყვეტით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ გუდაუთის მტს-ის და ბომბორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციებს არ მიუღიათ არცერთი კაცი.

სოხუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის პარტორგანიზაციასთან არსებულ თანამგრძნობთა ჯგუფში არიან წერა-კითხვის მცირემცოდნე ამხანაგები. აქ არიან თანამგრძნობები 1935 წლიდან, რომლებიც ვერ მოამზადეს პარტიაში მისაღებად. სოხუმის ნავსადგურის პარტორგანიზაციასთან არსებულ თანამგრძნობთა ჯგუფში 1935 წლიდან ირიცხება ი. წოწორია, რომელსაც დღემდე ვერ შეასწავლეს წერა-კითხვა. აფხაზვაჭრობის პარტიულ ორგანიზაციაში ირიცხება პარტკანდიდატი გ. ზადიკიანი, რომელიც კანდიდატია 1925 წლიდან. ეს ერთეული შემთხვევა როდია. სოხუმის პარტორგანიზაციებში ირიცხება 101 სტაჟგადაცილებული პარტწევრობის კანდიდატი.

განცხადებების განხილვის გაჭიანურებას ადგილი აქვს საქართველოს მთელ რიგ სხვა პარტიულ ორგანიზაციებშიაც. მახარაძის მტს-ის პირველადს პარტორგანიზაციასთან არსებულ თანამგრძნობთა ჯგუფში მხოლოდ 3 კაცი ირიცხება. მტს-ში არიან საუკეთესო ტრაქტორისტები: კ. მეგრელიშვილი, ს. სალუქვაძე, რომლებმაც წელს 1217 კ. გ. საწვავის ეკონომიას მიაღწიეს. ამ ადამიანებს სურთ პარტიაში შესვლა, მაგრამ მათ არავინ უწევს დახმარებას.

ზესტაფონის და ბორჯომის რაიონის ცალკე პირველადს პარტორგანიზაციებში რამდენიმე თვეობით აჭიანურებენ განცხადებათა განხილვას გულდასმით შემოწმების მომიზეზებით. ბორჯომის რაიონში 85 კანდიდატია, რომელთაც ოთხი-ხუთი წელია, რაც გაუთავდათ კანდიდატობის ვადა.

რატომ გრძელდება ასე დიდხანს მათი შემოწმება? გულდასმით შემოწმება, პარტიაში ინდივიდუალური წესით მიღება აუცილებელია, მაგრამ „გულდასმით შემოწმება არ უნდა გადაიქცეს შეტანილი განცხადებების განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურებად". („პრავდა").

უაღრესად დიდი პარტიული დანაშაულია განცხადებათა განხილვის გაჭიანურება და ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულება ახლად მისაღები ამხანაგებისადმი. ახლად მისაღებ ამხანაგებს ყოველმხრივი დახმარება უნდა გავუწიოთ როგორც დოკუმენტების გაფორმების, ისე რეკომენდატორების გამოძებნის საქმეში.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიის რიგების ზრდა, პარტიაში მოწინავე ადამიანების მიღება კარგი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მაჩვენებელია.

თვითეული პარტორგანიზაციის წმინდათა-წმინდა მოვალეობაა პარტიაში ახალ წევრთა მიღების ბოლშევიკური ორგანიზაცია. ადამიანების მომზადება პარტიაში მისაღებად და მათი კომუნისტურად აღზრდა.

უფრო სათუთად და გულისხმიერად მოვეპყრათ პარტიაში მისაღებ ამხანაგებს, ბოლშევიკურად მოვამზადოთ ისინი ლენინ-სტალინის პარტიის წევრობისათვის.

„პარტიამ — გვასწავლის ამხანაგი სტალინი — ძალაში უნდა დასტოვოს ნაცადი მეთოდი **ინდივიდუალური** მიდგომისა თვითეულისადმი, რომელსაც პარტიაში შესვლა სურს, და პარტიაში **ინდივიდუალურად** მიღებისა. ჩვენ გვესაჭიროება არა მარტო რაოდენობა, არამედ ხარისხიც".

პროპაგანდისტთა კურსების გამოშვება

გუშინ მოხდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პროპაგანდისტთა ერთწლიანი სკოლის კურსდამთავრებულთა მეორე გამოშვება.

სასწავლო წლის შედეგების შესახებ საზეიმო სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა სკოლის დირექტორი ამხანაგი ს. ლარცულიანი.

სიტყვით გამოსული კურსდამთავრებული პროპაგანდისტები — გ. უჩიძე, ს. სუხიშვილი, ა. ჯალალანია და სხვები უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავდნენ იმ დიდ ზრუნვას და ყურადღებას, რომელსაც იჩენდა მათ მიმართ, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და პირადად ამხანაგი **ლ. ბერია.**

სიტყვით გამოსული ამხანაგები: ს. შარიქაძე (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. არსებული პარტკაბინეტთა გამგეების 4-თვიანი კურსების პარტკომის მდივანი), ა. ბურდული (კომკავშირული 4-თვიანი კურსების მსმენელი) და სხვ. კურსების სახელით მიესალმნენ კურსდამთავრებულ პროპაგანდისტებს.

დასასრულ შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორი ამხ. **სამხარაძე.**

ცნობა თვითმფრინავ „როდინას" შესახებ

მოსკოვი, 26 სექტემბერი (საკდესი). ოცდა ექვს სექტემბერს თვითმფრინავ „როდინას" ადგილმდებარეობა არ არის აღმოჩენილი. თვითმფრინავებითა და სხვა საშუალებებით ძებნა გრძელდება.

რას ითვალისწინებს ხელშეკრულება ურთიერთ დახმარების შესახებ სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის

მოსკოვი, 26 სექტემბერი (**ბილდ-აპარატით ჩვენი საკ. კორ.**). მკითხველთა მრავალრიცხოვანი შეკითხვების დასაკმაყოფილებლად „იზვესტია" დღეს ხელახლა სრულად აქვეყნებს ხელშეკრულებას ურთიერთდახმარების შესახებ სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის, რომელიც დაიდო პრაღაში 1935 წლის 16 მაისს, და ამ ხელშეკრულების ხელმოწერის ოქმს. სარედაქციო შენიშვნაში „იზვესტია" სწერს: „ამხ. ლიტვინოვის გამოსვლაში ერთა ლიგის პლენუმზე 21 სექტემბერს და მის სიტყვაში ლიგის მეექვსე პოლიტიკურ კომისიაში 23 სექტემბერს უკვე განმარტებული იყო, რომ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულება, ისევე, როგორც წინათ დადებული საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ შედეგი იყო მოლაპარაკებისა რეგიონალური პაქტის შექმნის შესახებ ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპაში, რომელიც დამყარებული უნდა ყოფილიყო კოლექტიურ დახმარებაზე, გერმანიისა და პოლონეთის მონაწილეობით. ორივე ამ ქვეყანამ უარი განაცხადა ასეთ პაქტში მონაწილეობაზე. ამის გამო, თავდაპირველი გეგმის ნაწილობრივად მაინც განხორციელების მიზნით, დადებულ იქმნა ორი ორმხრივი ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ: ერთი სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის 1935 წლის 2 მაისს და მეორე სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის 1935 წ. 16 მაისს.

სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის დადებული ხელშეკრულების შესავალ ნაწილში და ხელმოწერის ოქმში ხაზგასმულია, რომ ხელშეკრულება დადებულ იქნა „იმ მისწრაფებით, რომ ხელი შეეწყოს აღმოსავლეთ ევროპაში უშიშროების რეგიონალური სისტემის შექმნას, რომელსაც დასაწყისი დაუდო საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1935 წ. 2 მაისის ხელშეკრულებამ..." (ხელმოწერის ოქმის მუხლი მე-2). ამრიგად საბჭოთა კავშირ-საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის პაქტებს შორის სავსებით გარკვეულად არსებობს უშუალო კავშირი.

აღსანიშნავია 1935 წ. 16 მაისის ხელშეკრულების მეორე არსებითი თავისებურება. ამ ხელშეკრულებით სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ურთიერთდახმარება განპირობებულია დახმარებით საფრანგეთის მხრით. ამრიგად, იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთმა თავი აარიდა ან უარი განაცხადა ჩეხოსლოვაკიისათვის დახმარების გაწევაზე, საბჭოთა მთავრობა ხელშეკრულების ზუსტი აზრის მიხედვით თავისუფალია ყოველგვარი ვალდებულებისაგან ჩეხოსლოვაკიის წინაშე. ხელმოწერის ოქმის მე-2 მუხლში პირდაპირ ნათქვამია: „... ორივე მთავრობა აღიარებს, რომ ურთიერთდახმარების ვალდებულებანი ძალაში იქნება მათ შორის მხოლოდ იმდენად, რამდენადაც, ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობების არსებობისას, დახმარება თავდასხმის მსხვერპლისადმი გაწეული იქნება საფრანგეთის მხრით".

უკანასკნელი ცნობები

ჰიტლერის მემორანდუმი

ლონდონი, 26 სექტემბერი (საკდესი). ლონდონის გაზეთებში გამოქვეყნებულია ტექსტი ჰიტლერის მემორანდუმისა, რომელიც მან ჩემბერლენის მეშვეობით გადასცა ჩეხოსლოვაკიის მთავრობას. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მემორანდუმში ჰიტლერი, წაქეზებული ჩეხოსლოვაკიის დანაწილების ინგლის-საფრანგეთის გეგმით, აყენებს კიდევ უფრო აგრესიულ მოთხოვნებს იმ მოთხოვნებთან შედარებითაც კი, რომლებიც მან წამოაყენა ჩემბერლენთან პირველი შეხვედრის დროს ბერხტესგადენში.

ჰიტლერი მოითხოვს ჩეხოსლოვაკიის მნიშვნელოვანი ტერიტორიის შეერთებას გერმანიასთან 1 ოქტომბერს, ამ ტერიტორიიდან ჩეხოსლოვაკიის შეიარაღებული ძალების, პოლიციის, ჟანდარმერიისა და სანაპირო ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას, ისე, რომ ეს ტერიტორია მაშინათვე ოკუპირებულ იქნას გერმანიის არმიის მიერ. ეს ტერიტორია გერმანიას უნდა გადაეცეს ყველა სატრანსპორტო, სამხედრო, სამრეწველო და სხვა ნაგებობებით, აეროდრომების, რადიოსადგურების, რკინიგზების მოძრავი შემადგენლობის ჩათვლით, აგრეთვე უნდა გადაეცეს სურსათ-სანოვაგე, პირუტყვი და ყოველგვარი ნედლეული.

შემდეგ მემორანდუმი მოითხოვს პლებისციტის ჩატარებას ჩეხოსლოვაკიის ბევრ სხვა რაიონში შერეული მოსახლეობით იმის გამოსარკვევად, თუ რომელ სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდეს ეს რაიონები.

ჰიტლერის მიერ მოთხოვნილი ტერიტორიების გერმანიასთან შეერთება მოასწავებდა ჩეხოსლოვაკიის მიერ სანაპირო გამაგრებული რაიონების, მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრების დაკარგვას, რომ აღარაფერი ვსთქვათ იმაზე, რომ ჩეხოსლოვაკია ამ შემთხვევაში დაჰკარგავდა თავის ბუნებრივ თავდაცვითი ხაზს, რომელსაც მის ჩრდილოეთ საზღვარზე სუდეტის მთები წარმოადგენენ.

მემორანდუმი მოითხოვს ყველა ჰენლაინელის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას პატიმრობისაგან.

იმედი აქვს რა, რომ მის აგრესიულ პრეტენზიებს შემდეგშიაც მხარს დაუჭერენ ინგლისის და საფრანგეთის მმართველი წრეები, ჰიტლერი „მოწყალედ" თანხმდება დაუშვას „საერთაშორისო კონტროლი" პლებისციტის გატარებაზე და საერთაშორისო კომისიის მონაწილეობა ჩეხოსლოვაკიის ახალი საზღვრების საბოლოოდ დადგენაში.

მემორანდუმს დართული აქვს რუკა; მასზედ წითელი ფერით აღნიშნულია რაიონები, რომლებიც 1 ოქტომბერს უნდა შეუერთდეს გერმანიას და მწვანე ფერით — რაიონები, რომლებშიაც უნდა გატარდეს პლებისციტი.

სავსებით აშკარაა, რომ ჰიტლერის მემორანდუმის მიღება მოასწავებდა ჩეხოსლოვაკიის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფაქტიურად ლიკვიდაციას, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გერმანიის ფაშიზმი აქეზებს და აქტიურად მხარს უჭერს პოლონეთისა და უნგრეთის უტიფარ მტაცებლურ პრეტენზიებს ჩეხოსლოვაკიის მიმართ.

პოლონელი ფაშისტების პროვოკაცია

ვარშავა, 25 სექტემბერი (საკდესი). პოლონეთში გრძელდება ფაშისტური რაზმების შედგენა, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე იგზავნებიან. იძულებითი წესით ხდება „მოხალისეთა კორპუსში" გაწვევა. იმ პირებს, რომელნიც უარს ამბობენ ამ „კორპუსში" შესვლაზე, სამუშაოდან ხსნიან. „მოხალისეთა" გაცილებას თან სდევს ქალებისა და თვით წამსვლელთა ტირილი და გულისწუხილი.

პოლონეთის ფაშისტური რაზმები, რომელნიც ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე იგზავნებიან, პროვოკაციულად იწვევენ შეტაკებებს სანაპირო რაზმთან. დაბა კონსკეში (ტეშინის მახლობლად) გუშინ ღამით ბრძოლა გაიმართა პოლონელებსა და ჩეხოსლოვაკიის სანაპირო ნაწილებს შორის. სახლებს, სადაც ჩეხოსლოვაკელი მესაზღვრენი იმყოფებოდნენ, პოლონელებმა ხელყუმბარები დაუშინეს და სროლა აუტეხეს. სროლის დროს ორი შენობა დაიწვა. ორი საათის ბრძოლის შემდეგ პოლონელებმა დაიხიეს პოლონეთის ტერიტორიაზე. ასეთივე შეტაკებები მოხდა აგრეთვე ტეშინის (ჩეხოსლოვაკიის) სილეზიის მთელ რიგ სხვა ადგილებში.

ეტლის წერილი ჩემბერლენისადმი

ლონდონი, 26 სექტემბერი (საკდესი). დღეს ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერმა ეტლიმ პრემიერ ჩემბერლენს წერილით მიმართა ჰიტლერის მიერ ჩეხოსლოვაკიისათვის გაგზავნილი მემორანდუმის საკითხზე.

„ჰიტლერის მიერ თავის იმ მემორანდუმში წამოყენებულმა პირობებმა, რომელიც თქვენ დასთანხმდით გადაგეცათ ჩეხოსლოვაკიის მთავრობისათვის, — სწერს ეტლი, — ღრმად შეაძრწუნა ინგლისის საზოგადოებრივი აზრი. ჩეხოსლოვაკიის მთავრობას არ შეუძლია მოიქცეს სხვანაირად, თუ არ უარყოს ეს პირობები, რადგან მემორანდუმის მიღება ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს მოსპობა იქნებოდა.

მე მოგაგონებთ თქვენ, რომ 8 სექტემბერს შრომის ნაციონალურმა საბჭომ ინგლისის მუშათა მოძრაობის სახელით მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც მოითხოვს ინგლისის მთავრობისაგან გარკვეული პოზიცია დაიკავოს ამ საკითხში. გერმანიის მთავრობას ოდნავი ეჭვიც კი არ უნდა დარჩეს, რომ ინგლისის მთავრობა საფრანგეთთან ერთად გადამწყვეტ წინააღმდეგობას გაუწევს ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმის ყოველგვარ ცდას. ინგლისის მთავრობის ამ პოზიციას ფართოდ დაუჭერდა მხარს ინგლისის ხალხი. ამჟამად არ შეიძლება ადგილი ექნეს ეჭვს ან მერყეობას, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება შენარჩუნებულ იქნას მშვიდობიანობა".

რეიტერის სააგენტოს ცნობა

ლონდონი, 26 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ახლა გამოქვეყნდა ოფიციალური კომუნიკე ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ. კომუნიკე კმაყოფილდება ცნობით, რომ „დღეს დილით შესდგა შემდგომი საუბარი ინგლისისა და საფრანგეთის მინისტრებს შორის. ყველა აღძრულ საკითხზე მიღწეულია სრული შეთანხმება".

იმავე სააგენტოს ცნობით ოფიციალურად დადასტურებულია, რომ გუშინ საღამოს ჩეხოსლოვაკიის ელჩმა ლონდონში მასარიკმა ინგლისის მთავრობას გადასცა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის პასუხი ჰიტლერის მემორანდუმზე. ჩეხოსლოვაკიის მთავრობის პასუხის შინაარსი ჯერ არ გამოქვეყნებულა.

სუდეტის საკითხის შემდეგ — „შვეიცარიის საკითხი"

პარიზი, 26 სექტემბერი (საკდესი). ბაზელიდან ფურნიეს სააგენტოს ატყობინებენ, გერმანიის ქალაქებში, რომელნიც შვეიცარიის მოსაზღვრე ზოლში მდებარეობენ, გაკრულია ვეებერთელა პლაკატები, რომლებშიაც აცხადებენ, თითქოს „ორნახევარი მილიონი შვეიცარიელი ელოდება თავის განთავისუფლებას". ჰიტლერელთა ეს აგიტაცია შვეიცარიის სახელმწიფოს წინააღმდეგ ბაზელში საყოველთაო აღშფოთებას იწვევს. შვეიცარიის ხელისუფალნი ღებულობენ ზომებს შვეიცარიის საზღვრების ხელმიუვალობით დაცვისათვის. ამჟამად შვეიცარიის ტერიტორიის 9 ყველა გამაგრებული პუნქტი შვეიცარია-გერმანიის საზღვრის გასწვრივ გაძლიერებულ სამხედრო ნაწილებს უკავია. გზები და ხიდები დანაღმულია და მათ სამხედრო საგუშაგოები იცავენ.

შვეიცარიულ წრეებში ამბობენ, რომ ჰიტლერელთა აგიტაცია შვეიცარიის მოსაზღვრე ზოლში იმის მაჩვენებელია, რომ სუდეტის საკითხის შემდეგ ჰიტლერის გერმანია დღის წესრიგში დასვამს „შვეიცარიის საკითხს", რისთვისაც შვეიცარია წინდაწინვე უნდა მოემზადოს.

ჩეხოსლოვაკიის რადიოს ცნობა

პარიზი, 26 სექტემბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის რადიო იუწყება, რომ ბევრი სუდეტელი გერმანელი, რომლებიც ჰენლაინელებმა მოატყუეს და გერმანიაში წაიყვანეს, დაბრუნდა ჩეხოსლოვაკიაში და ჩეხოსლოვაკიის ხელისუფალთა განკარგულებაში გადავიდა.

ინგლისის პარლამენტის სასწრაფოდ მოწვევა

ლონდონი, 26 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 28 სექტემბერს მოწვეულ იქნება ინგლისის პარლამენტის სასწრაფო სესია. როგორც ვიცით, ინგლისის პარლამენტი დათხოვნილი იყო საზაფხულო არდადეგებზე ამა წლის 1 ნოემბრამდე.

ინგლისისა და საფრანგეთის მინისტრების თათბირი

პარიზი, 26 სექტემბერი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება რადიოთი, 25 სექტემბერს 23 საათსა და 50 წუთზე დამთავრდა ინგლისის და საფრანგეთის მინისტრთა პირველი თათბირი. ამის შემდეგ დაუყოვნებლივ დაიწყო ინგლისის კაბინეტის სასწრაფო სხდომა.

ლონდონი, 26 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება რადიოთი, პრესის წარმომადგენელთა შეკითხვებზე დალადიემ განაცხადა, რომ იგი კმაყოფილია მოლაპარაკების მიმდინარეობით. სააგენტო აღნიშნავს, რომ არავითარი კომუნიკე ინგლისის და საფრანგეთის მინისტრთა დღევანდელი თათბირის შესახებ არ იქნება გამოქვეყნებული. დღეს, დილის 10 საათზე, მოლაპარაკება გაგრძელდება.

მუშათა და კოლმეურნეთა წინასაოქტომბრო შეჯიბრება

ჩვენს ქვეყანაში უკვე კარგ ტრადიციად გადაიქცა სახალხო დღესასწაულების შეხვედრა სახელოვანი შრომითი გმირობით, ახალი საწარმოო მიღწევებით. და ახლა — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXI წლისთავის წინ — ქარხნებსა და შახტებში, რკინიგზებსა და წყლის ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში ვითარდება წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, გამომუშავების ნორმების მასობრივად გადაჭარბებით შესრულებისათვის.

აი რამდენიმე მაგალითი. მოსკოვის დაზგათმშენებელ ქარხანა „კრასნი პროლეტარში" წინასაოქტომბრო შეჯიბრება დაიწყო 19 სექტემბერს საამწყობო საამქროს სტახანოველთა ინიციატივით. იმავე დღეს აწყობის მუშებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს: ზეინკალმა ფედოტიევმა ერთი-ორად გადააჭარბა ნორმას, ამწყობებმა ჩერნოვმა, ოზეროვმა, გავრილკინმა ნორმას ერთნახევარჯერ გადააჭარბეს.

ეჟოვის სახელობის შახტში დონბასში წინასაოქტომბრო შეჯიბრების მონაწილენი იძლევიან ქვანახშირის ამოღების 2-3 ნორმას. ასეთი მუშების რიცხვი შახტში უკვე დაახლოვებით 150 კაცს აღწევს.

რკინიგზის ტრანსპორტზე შეჯიბრება დაიწყო სამხრეთ-დონეცის გზის სლავიანსკის დეპოს — ტრანსპორტზე სტახანოვურ-კრივონოსული მოძრაობის სამშობლოს — კოლექტივის ინიციატივით. დეპოში, სადაც რკინიგზების პირველი სტახანოველი პეტრე კრივონოსი აღიზარდა, საბრძოლო წესით ემზადებიან ზამთრის პირობებში მუშაობისათვის. ორთქლმავლების უმრავლესობა კარგ მდგომარეობაშია. სულ უფრო-დაუფრო მატულობს რვოლებრივი მოძრაობის და მძიმე წონის მატარებელთა წაყვანის ოსტატ მემანქანეთა რიცხვი. მოუწოდებენ რა რკინიგზის ტრანსპორტის ყველა მუშაკს შეჯიბრებისაკენ, სლავიანსკის დეპოს მუშები და მოსამსახურეები კისრულობენ ყოველმხრივ სანიმუშოდ დაამთავრონ ზამთრისათვის მზადება. სამხრეთ-დონეცის გზის ილოვაისკოეს დეპო, სამხრეთ-დასავლეთის გზის კაზატინის დეპო და სხვა გზების მუშაკები მხარს უჭერენ სლავიანსკელთა ინიციატივას და კისრულობენ იმუშაონ ისე, რომ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულონ ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმა.

წყლის ტრანსპორტზე წინასაოქტომბრო შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა მოწინავე ნავთმზიდავის „სტეფანე რაზინის" ეკიპაჟი. ჩაება რა შეჯიბრებაში, ნავთმზიდავ „მიქოიანის" ეკიპაჟმა ამ დღეებში ასტრახანიდან სტალინგრადს მოიყვანა 4 ნავთბარჟისაგან შემდგარი ქარავანი სარეკორდო სისწრაფით — 156 კილომეტრით დღე-ღამეში, ნაცვლად დავალებით გათვალისწინებული 140 კილომეტრისა. კასპიის ფლაგმანის — ტანკერ „აღამალი-ოღლის" სტახანოველებმა იკისრეს სოციალისტური რევოლუციის აღსანიშნავად გეგმის გადამეტებით გადაზიდონ 50 ათასი ტონა საწვავი მასალა.

ხოლო აი რას გვატყობინებენ სოფლიდან. კურსკის ოლქის სუჯანის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში, წარმატებით დაამთავრეს საშემოდგომო კულტურების თესვა. ამ კოლმეურნეობამ დიდი ხანია შეასრულა პურის ჩაბარების გეგმა და მარცვლეულის საჭირო რაოდენობა ჩააბარა მტს-ის ნატურანაზღაურების ანგარიშში. შეჯიბრების მონაწილემ, კრასნოდარის მხარის ლიმანსკის მტს-ის ტრაქტორისტმა ამხ. ხამლენკომ „ჩტზ" ტრაქტორით ერთ ცვლაში დასთესა 70 ჰექტარი, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 50 ჰექტარისა.

ასეთი მაგალითების მოყვანა ასობით და ათასობით შეიძლება. თითქმის თვით ოქტომბრის წლისთავის წინ — 29 ოქტომბერს ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს ლენინურ-სტალინური კომკავშირის 20 წლისთავს. ამ დღესასწაულს ახალგაზრდობა აღნიშნავს დედა-სამშობლოსათვის საჩუქრების მიძღვნით. ახალგაზრდობა კომკავშირულ იუბილეს აღნიშნავს წარმოებაში ახალი მიღწევებით, სამხედრო ტექნიკის დაუფლებით. უკვე ცოტა მაგალითი როდია, როდესაც საკ. ალკკ 20 წლის თავისათვის შეჯიბრებაში ებმებიან მთელი საწარმოების ახალგაზრდათა კოლექტივები (კრასნოურალსკის სპილენძსადნობი ქარხანა. სტალინოგორსკის ქიმიური კომბინატი და სხვ.). ფაქტები მოწმობენ, რომ ახალგაზრდობა ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ასე, მაგალითად, ტრესტ „მაკეევუგოლის" ორჯონიკიძის სახელობის შახტის კომკავშირელებმა დონბასში მოაწყეს კომკავშირული ლავა, რომელიც დავალებას ციკლურობის მიხედვით 106 პროცენტით ასრულებს.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩმა მხურვალედ დაუჭირა მხარი ახალგაზრდობის ინიციატივას და მძიმე მრეწველობის ქარხნების ყველა დირექტორის, შახტებისა და მაღაროების გამგეების, ტრესტების, კომბინატების მმართველებისა და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარი სამმართველოების უფროსებისათვის გაგზავნილ სპეციალურ წერილში აღნიშნავს, რომ „ახალგაზრდობას შორის სოციალისტური შეჯიბრების ახალი მოძრაობის სათავეში ჩადგომა და მისი გადაქცევა მძიმე მრეწველობაში სტახანოვური მოძრაობის ახალ საერთო აღმავლობად მძიმე მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელების უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვალეობას წარმოადგენს".

გადავაქციოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXI წლისთავისა და ლენინურ-სტალინური კომკავშირის 20 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება ქალაქსა და სოფელში სტახანოვური მოძრაობის ახალ საერთო აღმავლობად, — ასეთია ამოცანა.

ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ახლა საბრძოლო დღეებს განიცდიან. ჩვენ ვიმყოფებით მეოთხე კვარტალის წინ, გადამწყვეტი თვეების წინ, რომელთა განმავლობაშიც უზრუნველყოფილ უნდა იქნას მესამე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის აუცილებლად შესრულება. მეოთხე კვარტალში საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა მრეწველობამ 21 პროცენტზე მეტად უნდა გაადიდოს პროდუქციის გამოშვება გასული წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით. ამ თვეებში ჩვენ უნდა მივაღწიოთ შავი და ფერადი ლითონების გამოდნობის, ქვანახშირისა და ნავთის მოპოვების, ქიმიური პროდუქტების წარმოების, დაზგებისა და მანქანების გამოშვების, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას. უნდა აღმოვფხვრათ მრეწველობის ამ დარგების ჩამორჩენა გეგმისაგან. ბოლოსდაბოლოს უნდა გამოვიყვანოთ მსუბუქი მრეწველობისა და სატყეო მრეწველობის საწარმოები მოწინავეთა რიგებში. დიდი და დაძაბული მუშაობა მოგველის!

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საწარმოების მომზადებას ზამთრის პირობებში მუშაობისათვის. ეს შეეხება არა მარტო რკინიგზელებს, არამედ მთელს სახალხო მეურნეობასაც. უნდა დაჩქარდეს სათბობისა და ნედლეულის მარაგის შექმნა მეტალურგიულ ქარხნებში, ელექტროსადგურებსა და სხვა საწარმოებში. უკვე დროა დავამთავროთ სახურავების რემონტი საფეიქრო ფაბრიკებში, — ამ ზაფხულში იქ დიდი რემონტი დაიწყო, მაგრამ ბევრ საწარმოში იგი დღემდეც არ დამთავრებულა.

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დახმარებით უდიდესი ამოცანები უნდა გადაიჭრას სოფლად. 20 სექტემბრისათვის ჩვენს ქვეყანაში აღებული იყო 83 მილიონ ჰექტარზე მეტი თავთავიანი კულტურები — გეგმის 95 პროცენტი. შარშან ამ დროისათვის მოსავლის აღების გეგმა შესრულებული იყო 96 პროცენტით. მოსავლის აღების მხრივ ჩამორჩენას განაგრძობენ აღმოსავლეთის ოლქები, ისეთები, როგორიც ნოვოსიბირსკის (გეგმის 86 პროცენტი), ომსკის (გეგმის 77 პროცენტი), ჩელიაბინსკის (გეგმის 70 პროცენტი), ჩიტის (გეგმის 74 პროცენტი). ეს ჩამორჩენა ლიკვიდირებულ უნდა იქნას ისე, რომ უახლოეს დღეებში სავსებით დავამთავროთ თავთავიანი კულტურების აღება. ამავე დროს უნდა გავაძლიეროთ საშემოდგომო კულტურების თესვა, დავთესოთ დროზე, ჩავატაროთ მზრალად ხვნა და ამით უზრუნველვყოთ 1939 წლის მაღალი მოსავალი.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა წარმატებანი გვიჩვენებენ, რომ მუშაობის სტახანოვური მეთოდების გამოყენება საშუალებას მოგვცემს ახალ წელს წარმოების მაღალი დონით შევხვდეთ, რათა ეს დონე კიდევ უფრო ავამაღლოთ 1939 წელს.

ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია — ჩავაბათ წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში მუშათა, კოლმეურნეთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა უფართოესი მასები, თავიდან ავიცილოთ მყვირალობა და საპარადო ხმაური, ერთეული რეკორდებისადმი გამოდევნება მასობრივი სტახანოვური მოძრაობის საზიანოდ. ოქტომბრის XXI წლისთავისა და საკ. ალკკ 20 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრება, დონბასის ქვანახშირის სამი კომბინატის შეჯიბრება, შეჯიბრება სახალხო კომისარიატების გარდამავალი წითელი დროშებისათვის, მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა შეჯიბრება, რაც ტარდება დევიზით „ფაბრიკის მარკის სახელისათვის", — ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ უდიდესი შემოქმედებითი აღმავლობაა ჩვენი ქვეყნის მშრომელებს შორის, რომლებიც ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით ცდილობენ კიდევ უფრო განამტკიცონ ჩვენი სამშობლოს ძლიერება. ეს აღმავლობა დღითიდღე იზრდება. ჩვენი პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები უნდა აღმოჩნდნენ მდგომარეობის სიმაღლეზე, სათავეში უნდა ჩაუდგნენ მუშათა და გლეხთა წინასაოქტომბრო შეჯიბრებას და წარმართონ იგი სოციალიზმის ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

„პრავდის" მოწინავე, 26/IX

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)
ისტორია

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კომისიის რედაქციით. **მოკლე კურსი.** მოწონებულია საკ. კ.პ.(ბ) ც. კ-ის მიერ. 1938 წელი.

თავი IX

ბოლშევიკების პარტია სახალხო მეურნეობის აღსადგენად მშვიდობიან მუშაობაზე გადასვლის პერიოდში.

(1921—1925 წლები)

1. საბჭოთა ქვეყანა ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის ლიკვიდაციის შემდეგ. აღდგენითი პერიოდის სიძნელენი.

თავი დააღწია რა ომს, საბჭოთა ქვეყანამ იწყო გადასვლა მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის რელსებზე. საჭირო იყო მოგვეშუშებინა ომით მოყენებული ჭრილობები. საჭირო იყო აღგვედგინა დანგრეული სახალხო მეურნეობა, წესრიგში მოგვეყვანა მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა.

მაგრამ მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის განხორციელება უაღრესად მძიმე ვითარებაში მოგვიხდა. სამოქალაქო ომში გამარჯვება იოლად როდი იქნა მოპოვებული. ქვეყანა განადგურებული იყო ოთხი წლის იმპერიალისტური ომით და ინტერვენციის წინააღმდეგ წარმოებული სამი წლის ომით.

სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1920 წელს ომამდელის მხოლოდ **ნახევარს** შეადგენდა. ომამდელი დონე კი—ეს ხომ მეფის რუსეთის ღატაკური სოფლის დონე იყო. გარდა ამისა, 1920 წელს მრავალ გუბერნიაში მოუსავლობა იყო. გლეხური მეურნეობა მძიმე მდგომარეობას განიცდიდა.

კიდევ უფრო ცუდი იყო მდგომარეობა მრეწველობისა, რომელიც ნგრევას განიცდიდა. მსხვილი მრეწველობის პროდუქცია 1920 წელს ომამდელზე თითქმის **შვიდჯერ** ნაკლები იყო. ფაბრიკებისა და ქარხნების უმეტესობა გაჩერებული იყო. სამადნოები და მაღაროები დანგრეული, წალეკილი იყვნენ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა მეტალურგია. თუჯის გამოდნობა მთელი 1921 წლის განმავლობაში სულ რაღაც 116,3 ათას ტონას შეადგენდა, ესე იგი თუჯის ომამდელი წარმოების დაახლოებით 3 პროცენტს. გვაკლდა სათბობი მასალა. ტრანსპორტი დანგრეული იყო. ქვეყანაში არსებული ლითონისა და მანუფაქტურის მარაგი თითქმის გამოლეული იყო. ქვეყანა განიცდიდა ისეთი უაღრესად აუცილებელი საგნების ნაკლებობას, როგორიცაა პური, ცხიმები, ხორცი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ასანთი, მარილი, ნავთი, საპონი.

ვიდრე ომი სწარმოებდა, ხალხი ურიგდებოდა ამ ნაკლებობასა და სიმცირეს, ზოგჯერ ვეღარც კი ამჩნევდა მათ. მაგრამ ახლა, როცა ომი აღარ იყო, ხალხმა ერთბაშად იგრძნო ამ ნაკლებობისა და სიმცირის აუტანლობა და მოითხოვა მათი დაუყოვნებლივ თავიდან აცილება.

გაჩნდა უკმაყოფილება გლეხებს შორის. სამოქალაქო ომის ცეცხლში შეიქმნა და განმტკიცდა მუშათა კლასისა და გლეხობის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. ეს კავშირი გარკვეულ საფუძველს ეყრდნობოდა: გლეხი ღებულობდა საბჭოთა ხელისუფლებისაგან მიწას, აგრეთვე დაცვას მემამულისაგან და კულაკისაგან, მუშები გლეხობისაგან ღებულობდნენ სურსათს სასურსათო გაწერით.

ახლა ეს საფუძველი უკვე საკმარისი არ აღმოჩნდა.

საბჭოთა სახელმწიფო იძულებული ხდებოდა აეღო გლეხისაგან სასურსათო გაწერით მთელი ნაჭარბი პროდუქცია ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის. სამოქალაქო ომში გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა, სასურსათო გაწერა რომ არ ყოფილიყო, სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკა რომ არ ყოფილიყო. სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკა ომით, ინტერვენციით იყო ნაკარნახევი. ვიდრე ომი სწარმოებდა, გლეხობა თანხმდებოდა სასურსათო გაწერაზე და ვერ ამჩნევდა საქონლის ნაკლებობას, მაგრამ როცა ომი გათავდა და მემამულის დაბრუნების მუქარამ განვლო, გლეხი უკვე გამოსთქვამდა უკმაყოფილებას მთელი ნაჭარბის წაღების გამო, უკმაყოფილებას სასურსათო გაწერის სისტემით და მოითხოვდა, რათა იგი საკმაო რაოდენობის საქონლით მოემარაგებინათ.

სამხედრო კომუნიზმის მთელი სისტემა, როგორც აღნიშნავდა ლენინი, უკვე შეეჯახა გლეხობის ინტერესებს.

უკმაყოფილების სტიქია მუშათა კლასსაც შეეხო. პროლეტარიატმა თავის მხრებზე გადაიტანა სამოქალაქო ომის მთავარი სიმძიმე, იგი გმირულად და თავგამოდებით იბრძოდა თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა ურდოების წინააღმდეგ, ნგრევისა და შიმშილობის წინააღმდეგ. საუკეთესო, ყველაზე უფრო შეგნებული, თავდადებული და დისციპლინიანი მუშები სოციალისტური ენტუზიაზმის ცეცხლით იყვნენ აღგზნებულნი. მაგრამ უდიდესმა სამეურნეო ნგრევამ მუშათა კლასზეც მოახდინა გავლენა. თითოროოლა ფაბრიკები და ქარხნები, რომლებიც კიდევ მოქმედებდნენ, დიდ შეფერხებას განიცდიდნენ მუშაობაში. მუშები იძულებული ხდებოდნენ შესდგომოდნენ კუსტარულობას, ასანთების კეთებას, მეტომრეობას. სუსტდებოდა პროლეტარიატის დიქტატურის კლასობრივი ბაზა, მუშათა კლასი იქსაქსებოდა, მუშების ნაწილი სოფელში მიდიოდა, ის უკვე მუშა აღარ იყო, დეკლასირებას განიცდიდა. შიმშილობისა და დაღლილობის ნიადაგზე თავს იჩენდა მუშათა ნაწილის უკმაყოფილება.

პარტიის წინაშე დადგა საკითხი — გამოემუშავებინა პარტიის ახალი გეზი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ყველა საკითხზე, გეზი, რომელიც ახალი ვითარების შესაბამისი იქნებოდა.

და პარტია შეუდგა ახალი გეზის გამომუშავებას სამეურნეო მშენებლობის საკითხებზე.

მაგრამ კლასობრივ მტერს არ ეძინა. იგი ცდილობდა გამოეყენებინა მძიმე სამეურნეო მდგომარეობა, გამოეყენებინა გლეხთა უკმაყოფილება. იფეთქა თეთრგვარდიელებისა და ესერების მიერ მოწყობილმა კულაკურმა ამბოხებებმა ციმბირში, უკრაინაში, ტამბოვის გუბერნიაში (ანტონოვშჩინა). გამოცოცხლდა ყოველგვარი კონტრრევოლუციური ელემენტების — მენშევიკების, ესერების, ანარქისტების, თეთრგვარდიელების, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტების საქმიანობა. მტერი გადავიდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ტაქტიკურ ხერხებზე. ის საბჭოთა ფერით იღებებოდა და აყენებდა უკვე არა ძველ ჩაფუშულ ლოზუნგს: „ძირს საბჭოები“, არამედ ახალ ლოზუნგს: „საბჭოებისათვის, მაგრამ უკომუნისტებოდ“.

კლასობრივი მტრის ახალი ტაქტიკის მკაფიო გამოხატულება იყო კრონშტადტის კონტრრევოლუციური ამბოხება. იგი დაიწყო პარტიის X ყრილობამდე ერთი კვირით ადრე, 1921 წლის მარტში. ამბოხებას სათავეში ჩაუდგნენ თეთრგვარდიელები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ესერებთან, მენშევიკებთან და უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან. მეამბოხეები ცდილობდნენ პირველ ხანებში „საბჭოთა“ აბრით დაეფარათ თავისი მისწრაფებანი — აღედგინათ კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლება და საკუთრება. მათ წამოაყენეს ლოზუნგი: „საბჭოები უკომუნისტებოდ“. კონტრრევოლუცია ცდილობდა გამოეყენებინა წვრილბურჟუაზიული მასების უკმაყოფილება იმისათვის, რომ ვითომდა საბჭოთა ლოზუნგით დაემხო საბჭოთა ხელისუფლება.

ორმა გარემოებამ გააადვილა კრონშტადტის ამბოხების წარმოშობა: სამხედრო გემებზე მეზღვაურთა შემადგენლობის გაუარესებამ და კრონშტადტის ბოლშევიკური ორგანიზაციის სისუსტემ. ძველი მეზღვაურები, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციაში მონაწილეობდნენ, თითქმის უკლებლივ წასული იყვნენ ფრონტზე და გმირულად იბრძოდნენ წითელი არმიის რიგებში. ფლოტში მოვიდნენ ახალი ძალები, რომლებიც არ იყვნენ გამოწრთობილნი რევოლუციაში. ეს ძალები წარმოადგენდნენ ჯერ კიდევ სრულიად ნედლ გლეხურ მასას, რომელიც ასახავდა გლეხობის უკმაყოფილებას სასურსათო გაწერით. რაც შეეხება კრონშტადტის იმ პერიოდის ბოლშევიკურ ორგანიზაციას, იგი ძლიერ იყო შესუსტებული მთელი რიგი მობილიზაციებით ფრონტისათვის. ამ გარემოებებმა ესერ-მენშევიკებს და თეთრგვარდიელებს შესაძლებლობა მისცეს შეპარულიყვნენ კრონშტადტში და დაუფლებოდნენ მას.

მეამბოხეებმა ხელთ იგდეს პირველხარისხოვანი ციხე-სიმაგრე, ფლოტი დიდძალი იარაღი და ყუმბარები. საერთაშორისო კონტრრევოლუცია გამარჯვებას ზეიმობდა. მაგრამ მტრები მეტის-მეტად ნაადრევად მიეცნენ აღტაცებას. ამბოხება საბჭოთა ჯარებმა სწრაფად ჩააქრეს. პარტიამ კრონშტადტის მეამბოხეთა წინააღმდეგ გაგზავნა თავისი საუკეთესო შვილები — X ყრილობის დელეგატები ამხ. ვოროშილოვის მეთაურობით. წითელარმიელები კრონშტადტისაკენ თხელი ყინულით მიდიოდნენ. ყინული იმსხვრეოდა, და ბევრნი იხრჩობოდნენ. საჭირო ხდებოდა იერიშის მიტანა კრონშტადტის თითქმის მიუვალი ფორტების წინააღმდეგ. რევოლუციისადმი ერთგულებამ და სიმამაცემ, მზადყოფნამ — გაეწირათ თავისი სიცოცხლე საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავისი გაიტანეს. კრონშტადტის ციხე-სიმაგრე წითელი ჯარების იერიშით აღებულ იქნა. კრონშტადტის ამბოხება ლიკვიდირებულ იქნა.

2. დისკუსია პარტიაში პროფკავშირების შესახებ. პარტიის X ყრილობა. ოპოზიციის დამარცხება. ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე (ნეპი) გადასვლა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის, მისი ლენინური უმრავლესობისათვის ცხადი იყო, რომ ომის ლიკვიდაციისა და მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობაზე გადასვლის შემდეგ აღარ იყო საფუძველი დაგვეტოვებინა სამხედრო კომუნიზმის მკაცრი რეჟიმი, შექმნილი ომისა და ბლოკადის ვითარებით.

ცენტრალურ კომიტეტს ესმოდა, რომ გაჰქრა სასურსათო გაწერის აუცილებლობა, რომ საჭიროა მისი შეცვლა სასურსათო გადასახადით, რათა გლეხებს შესაძლებლობა მისცემოდათ თავისი სურვილისამებრ გამოეყენებინათ თავისი წარმოების ნაჭარბის დიდი ნაწილი. ცენტრალურ კომიტეტს ესმოდა, რომ ასეთი ღონისძიება შესაძლებლობას მოგვცემდა გამოგვეცოცხლებინა სოფლის მეურნეობა, გაგვეფართოვებინა მარცვლეულის მოყვანა და მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო ტექნიკური კულტურების წარმოება, გამოგვეცოცხლებინა ქვეყანაში საქონელბრუნვა, გაგვეუმჯობესებინა ქალაქების მომარაგება, შეგვექმნა მუშათა და გლეხთა კავშირის ახალი, სამეურნეო საფუძველი.

ცენტრალურ კომიტეტს აგრეთვე შეგნებული ჰქონდა, რომ მრეწველობის გამოცოცხლება უპირველესი ამოცანაა, მაგრამ ის სთვლიდა, რომ მრეწველობის გამოცოცხლება შეუძლებელია ისე, თუ ამ საქმეში არ ჩავაბით მუშათა კლასი და მისი პროფკავშირები, რომ შეიძლება მუშების ჩაბმა ამ საქმეში, თუ მათ დავარწმუნებთ, რომ სამეურნეო ნგრევა ხალხის ისეთივე საშიში მტერია, როგორც ინტერვენცია და ბლოკადა, რომ პარტია და პროფკავშირები უეჭველად შესძლებენ ამ საქმის შესრულებას, თუ ისინი მუშათა კლასის მიმართ იმოქმედებენ არა სამხედრო ბრძანებათა გზით, როგორც ეს ხდებოდა ფრონტზე, სადაც მართლაც აუცილებელი იყო ბრძანებანი, არამედ დარწმუნების გზით, დარწმუნების მეთოდით.

მაგრამ პარტიის ყველა წევრი როდი ფიქრობდა ისე, როგორც ცენტრალური კომიტეტი. პატარ-პატარა ოპოზიციური ჯგუფები — ტროცკისტები, „მუშათა ოპოზიცია“, „მემარცხენე კომუნისტები“, „დემოკრატიული ცენტრალისტები“, და სხვ. — გზააბნეული იყვნენ და მერყეობდნენ მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის რელსებზე გადასვლის სიძნელეთა წინაშე. პარტიაში ცოტანი როდი იყვნენ ყოფილი მენშევიკები, ყოფილი ესერები, ყოფილი ბუნდელები, ყოფილი ბოროტბისტები და ყოველგვარი ნახევრადნაციონალისტები რუსეთის განაპირა მხარეებიდან. ისინი მეტწილად ამათუიმ პატარ-პატარა ოპოზიციურ ჯგუფებს ემხრობოდნენ. ეს ადამიანები, რომლებიც არ იყვნენ ნამდვილი მარქსისტები, არ იცნობდნენ ეკონომიური განვითარების კანონებს, მოკლებული იყვნენ პარტიულ-ლენინურ გამოწრთობას,—მხოლოდ აძლიერებდნენ ოპოზიციური ჯგუფების გზააბნეულობასა და მერყეობას. ერთნი მათგანი ჰფიქრობდნენ, რომ სამხედრო კომუნიზმის მკაცრი რეჟიმის შესუსტება საჭირო არ არის, რომ, პირიქით, — საჭიროა „ქანჩების კიდევ უფრო მაგრად მოჭერა“. მეორენი ფიქრობდნენ, რომ პარტია და სახელმწიფო უნდა ჩამოშორდნენ სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეს, რომ ეს საქმე მთლიანად პროფკავშირებს უნდა გადაეცესო.

ცხადი იყო, რომ ასეთი გზააბნეულობის დროს პარტიის ზოგიერთ ფენებში გამოჩნდებოდნენ ადამიანები, დისკუსიათა მოყვარულები, სხვადასხვა ოპოზიციური „ლიდერები“, რომელნიც შეეცდებოდნენ პარტიისათვის დისკუსია თავზე მოეხვიათ.

ასეც მოხდა.

დისკუსია დაიწყო პროფკავშირების როლის საკითხით, თუმცა პროფკავშირების საკითხი მაშინ პარტიული პოლიტიკის მთავარი საკითხი არ იყო.

დისკუსიის ამტეხი, ლენინის წინააღმდეგ ბრძოლის, ცენტრალური კომიტეტის ლენინური უმრავლესობის წინააღმდეგ ბრძოლის ამტეხი იყო ტროცკი. სურდა რა გაემწვავებინა მდგომარეობა, იგი კომუნისტების — პროფკავშირთა V სრულიად-რუსეთის კონფერენციის დელეგატების სხდომაზე 1920 წლის ნოემბრის დამდეგს გამოვიდა „ქანჩების“ მოჭერისა და „პროფკავშირების შენჯღრევის“ საეჭვო ლოზუნგით. ტროცკიმ წამოაყენა მოთხოვნა, რომ დაუყოვნებლივ მომხდარიყო „პროფკავშირების გასახელმწიფოებრივება“. იგი წინააღმდეგი იყო მუშათა მასების დარწმუნების მეთოდისა, იგი იმის მომხრე იყო, რომ პროფკავშირებში სამხედრო მეთოდი გადაგვეტანა. ტროცკი წინააღმდეგი იყო დემოკრატიის გაშლისა პროფკავშირებში, წინააღმდეგი იყო პროფკავშირთა ორგანოების არჩევითობისა.

ნაცვლად დარწმუნების მეთოდისა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მუშათა ორგანიზაციების საქმიანობა, ტროცკისტები აყენებდნენ შიშველი იძულების, შიშველი მბრძანებლობის მეთოდს. თავისი პოლიტიკით ტროცკისტებს იქ, სადაც ისინი პროფკავშირული მუშაობის ხელმძღვანელობაში ხვდებოდნენ, პროფკავშირებში შეჰქონდათ კონფლიქტები, გათიშვა და რღვევა. ტროცკისტები თავისი პოლიტიკით ამხედრებდნენ მუშათა უპარტიო მასას პარტიის წინააღმდეგ, სთიშავდნენ მუშათა კლასს.

დისკუსიას პროფკავშირების შესახებ ნამდვილად გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე პროფკავშირების საკითხს. როგორც შემდეგ აღნიშნული იყო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის (1925 წლის 17 იანვარი) რეზოლუციაში, ნამდვილად დავა ეხებოდა „იმ გლეხობისადმი დამოკიდებულებას, რომელიც მხედრდებოდა სამხედრო კომუნიზმის წინააღმდეგ, მუშათა უპარტიო მასისადმი დამოკიდებულებას, საერთოდ პარტიის მიდგომას მასისადმი იმ ხანაში, როცა სამოქალაქო ომი უკვე თავდებოდა“. (საკ. კ. პ. (ბ) რეზოლუციების მიხედვით, ნაწ. I. გვ. 651).

ტროცკის მიყოლებით გამოვიდნენ სხვა ანტიპარტიული ჯგუფებიც: „მუშათა ოპოზიცია“ (შლიაპნიკოვი, მედვედევი, კოლონტაი და სხვები), „დემოკრატიული ცენტრალისტები“ (საპრონოვი, დრობნისი, ბოგუსლავსკი, ოსინსკი, ვ. სმირნოვი და სხვები), „მემარცხენე კომუნისტები“ (ბუხარინი, პრეობრაჟენსკი).

„მუშათა ოპოზიციამ“ წამოაყენა ლოზუნგი, რომ მთელი სახალხო მეურნეობის მმართველობა გადასცემოდა „მწარმოებელთა სრულიად-რუსეთის ყრილობას“. მას არარაობამდე დაჰყავდა პარტიის როლი, იგი უარყოფდა პროლეტარიატის დიქტატურის მნიშვნელობას სამეურნეო მშენებლობაში. „მუშათა ოპოზიცია“ პროფკავშირებს უპირისპირებდა საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტურ პარტიას. მას მუშათა კლასის ორგანიზაციის უმაღლეს ფორმად მიაჩნდა არა პარტია, არამედ პროფკავშირები. „მუშათა ოპოზიცია“ არსებითად იყო ანარქო-სინდიკალისტური ანტიპარტიული ჯგუფი.

„დემოკრატიული ცენტრალიზმის“ ჯგუფი (დეცისტები) მოითხოვდა ფრაქციათა და დაჯგუფებათა სრულ თავისუფლებას. დეცისტები, ისევე როგორც ტროცკისტები, ცდილობდნენ შეერყიათ პარტიის ხელმძღვანელი როლი საბჭოებსა და პროფკავშირებში. ლენინმა დეცისტებს უწოდა „ყველაზე მყვირალა“ ფრაქცია, ხოლო დეცისტების პლატფორმას — ესერულ-მენშევიკური პლატფორმა.

ტროცკის მის ბრძოლაში ლენინისა და პარტიის წინააღმდეგ დაეხმარა ბუხარინი. ბუხარინმა პრეობრაჟენსკისთან, სერებრიაკოვთან, სოკოლნიკოვთან ერთად შექმნა „ბუფერული ჯგუფი“. ეს ჯგუფი იცავდა და ხელს აფარებდა უბოროტეს ფრაქციონერებს — ტროცკისტებს. ბუხარინის ქცევას ლენინი უწოდებდა „იდეური დაშლის მწვერვალს“. მალე ბუხარინელები აშკარად გაერთიანდნენ ტროცკისტებთან ლენინის წინააღმდეგ.

ლენინმა და ლენინელებმა მთავარი იერიში მიიტანეს ტროცკისტების, როგორც ანტიპარტიულ დაჯგუფებათა ძირითადი ძალის წინააღმდეგ. ისინი ტროცკისტებს ამხილებდნენ პროფკავშირების არევაში სამხედრო ორგანიზაციებთან, მიუთითებდნენ მათ, რომ არ შეიძლება სამხედრო ორგანიზაციათა მეთოდების გადატანა პროფკავშირებში. ოპოზიციური ჯგუფების პლატფორმების დასაპირდაპირებლად ლენინმა და ლენინელებმა თავისი პლატფორმა შეადგინეს. ამ პლატფორმაში აღნიშნული იყო, რომ პროფკავშირები წარმოადგენენ მმართველობის სკოლას, მეურნეობის გაძღოლის სკოლას, კომუნიზმის სკოლას. პროფკავშირებმა მთელი თავისი მუშაობა უნდა ააგონ დარწმუნების მეთოდზე. პროფკავშირები მხოლოდ ამ პირობით აამოძრავებენ ყველა მუშას სამეურნეო ნგრევასთან საბრძოლველად, შესძლებენ ჩააბან ისინი სოციალისტურ მშენებლობაში.

ოპოზიციურ დაჯგუფებებთან ბრძოლაში პარტიული ორგანიზაციები შემოკრბნენ ლენინის გარშემო. განსაკუთრებით დაძაბული ხასიათი მიიღო ბრძოლამ მოსკოვში. აქ ოპოზიციამ თავი მოუყარა თავის ძირითად ძალებს; იგი მიზნად ისახავდა დედაქალაქის ორგანიზაციის დაპყრობას. მაგრამ მოსკოვის ბოლშევიკებმა ფრაქციონერების ამ ოინებს გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიეს. მწვავე ბრძოლა გაჩაღდა უკრაინის პარტიულ ორგანიზაციებშიც. ამხ. მოლოტოვის ხელმძღვანელობით, რომელიც მაშინ უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად იყო, უკრაინის ბოლშევიკებმა განადგურეს ტროცკისტები და შლიაპნიკოველები. უკრაინის კომუნისტური პარტია ლენინის პარტიის ერთგული დასაყრდენი დარჩა. ბაქოში ოპოზიციის განადგურება მოწყობილ იქნა ამხ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით. შუააზიაში ანტიპარტიულ დაჯგუფებებთან ბრძოლას ხელმძღვანელობდა ამხ. ლ. კაგანოვიჩი.

ყველა ძირითადი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია შეუერთდა ლენინის პლატფორმას.

1921 წლის 8 მარტს გაიხსნა პარტიის X ყრილობა. ყრილობას დაესწრო 694 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, რომლებიც პარტიის 732.521 წევრს წარმოადგენდნენ. სათათბირო ხმით იყო 296 დელეგატი.

ყრილობამ შეაჯამა პროფკავშირების შესახებ წარმოებული დისკუსიის შედეგები და ხმების დიდი უმრავლესობით მოიწონა ლენინის პლატფორმა.

გახსნა რა ყრილობა, ლენინმა განაცხადა, რომ დისკუსია ზედმეტი ფუფუნება იყო. მან აღნიშნა, რომ მტრებს აღებული ჰქონდათ გეზი კომუნისტურ პარტიაში შინაგანი ბრძოლისა და გათიშვისაკენ.

გაითვალისწინა რა ის უდიდესი საფრთხე, რომელსაც ბოლშევიკური პარტიისა და პროლეტარიატის დიქტატურისათვის წარმოადგენდა ფრაქციული ჯგუფების არსებობა, X ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია **პარტიის ერთიანობის** საკითხს. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ლენინი. ყრილობამ დაჰგმო ყველა ოპოზიციური დაჯგუფება და მიუთითა, რომ ისინი „საქმით ემხარებიან პროლეტარული რევოლუციის კლასობრივ მტრებს“.

ყრილობამ მოითხოვა დაუყოვნებლივ დაშალონ ყველა ფრაქციული ჯგუფი და დაავალა ყველა ორგანიზაციას სასტიკად ადევნონ თვალყური რაიმე ფრაქციული გამოსვლების დაუშვებლობას, ამასთან ყრილობის დადგენილების შეუსრულებლობა იწვევდა პარტიიდან უცილობლივ და დაუყოვნებლივ გარიცხვას. ყრილობამ ცენტრალურ კომიტეტს მისცა რწმუნებანი, ცენტრალური კომიტეტის წევრთა მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში და ფრაქციულობის განახლების ან დაშვების შემთხვევაში მიიღოს პარტიული სასჯელის ყოველგვარი ღონისძიება ცენტრალური კომიტეტიდან და პარტიიდან მათი გარიცხვამდეც კი.

ყველა ეს გადაწყვეტილება ჩაწერილი იყო ლენინის მიერ წარმოდგენილ და ყრილობის მიერ მიღებულ განსაკუთრებულ რეზოლუციაში „პარტიის ერთიანობის შესახებ“.

ამ რეზოლუციაში ყრილობა პარტიის ყველა წევრის ყურადღებას მიაქცევდა იმას, რომ მისი რიგების ერთიანობა და შემჭიდროება, პროლეტარიატის ავანგარდის ნებისყოფის ერთიანობა განსაკუთრებით საჭიროა ისეთ მომენტში, როდესაც მთელმა რიგმა გარემოებებმა X ყრილობის პერიოდში გააძლიერეს მერყეობა ქვეყნის წვრილბურჟუაზიული მოსახლეობის შორის.

„ამავე დროს, — აღნიშნული იყო რეზოლუციაში,—ჯერ კიდევ პროფკავშირების შესახებ წარმოებულ საერთო-პარტიულ დისკუსიამდე, პარტიაში თავი იჩინა ფრაქციულობის ერთგვარმა ნიშნებმა, ესე იგი ჯგუფების წარმოშობამ განსაკუთრებული პლატფორმებით და მისწრაფებით ერთგვარად ჩაიკეტონ და შექმნან თავისი ჯგუფური დისციპლინა. აუცილებელია, რათა ყველა შეგნებულმა მუშამ ნათლად შეიგნოს, რომ საზიანო და დაუშვებელია ყოველგვარი ფრაქციულობა, რომელიც საქმით გარდაუვალად იწვევს შეთანხმებული მუშაობის დასუსტებას და მისი მტრების, რომლებიც მთავრობის პარტიას ეტმასნებიან, გაძლიერებულ განმეორებით ცდას გააღრმაონ დაყოფა (პარტიის) და გამოიყენონ იგი კონტრრევოლუციის მიზნებისათვის“.

შემდეგ, ყრილობა ამ რეზოლუციაში ამბობდა:

„მტკიცედ გამართული კომუნისტური ხაზიდან ყოველგვარი გადახრების გამოყენებამ პროლეტარიატის მტრების მიერ ყველაზე ნათლად იჩინა თავი კრონშტადტის ამბოხების მაგალითზე, როდესაც ბურჟუაზიულმა კონტრრევოლუციამ და თეთრგვარდიელებმა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მყისვე გამოიჩინეს თავისი მზადყოფნა მიეღოთ საბჭოთა წყობილების ლოზუნგიც კი, ოღონდ დაემხოთ პროლეტარიატის დიქტატურა რუსეთში, როდესაც ესერებმა და საერთოდ ბურჟუაზიულმა კონტრრევოლუციამ გამოიყენა კრონშტადტში აჯანყების ლოზუნგები ვითომდა საბჭოთა ხელისუფლების გულისათვის რუსეთის საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ასეთი ფაქტები სავსებით ადასტურებენ, რომ თეთრგვარდიელები ცდილობენ და მათ შესწევთ უნარი თავი მოგვაჩვენონ კომუნისტებად და მათზე „უფრო მემარცხენეებადაც“ კი, ოღონდ დაასუსტონ და დაამხონ პროლეტარული რევოლუციის დასაყრდენი რუსეთში. მენშევიკური ფურცლები პეტროგრადში კრონშტადტის ამბოხების წინ აგრეთვე გვიჩვენებენ, თუ როგორ გამოიყენეს მენშევიკებმა უთანხმოებანი რკპ-ის შიგნით, რათა ფაქტიურად წაექეზებინათ და მხარი დაეჭირათ კრონშტადტელი მეამბოხეებისა, ესერებისა და თეთრგვარდიელებისათვის, ამასთან ისინი სიტყვით ასაღებენ თავს ამბოხებათა მოწინააღმდეგეებად და საბჭოთა ხელისუფლების მომხრეებად მხოლოდ თითქოს მცირე შესწორებებით“.

რეზოლუცია მიუთითებდა, რომ პარტიულმა პროპაგანდამ საფუძვლიანად უნდა განმარტოს, თუ როგორ საზიანო და საშიშია ფრაქციულობა პარტიის ერთიანობის და პროლეტარიატის ავანგარდის ნებისყოფის ერთიანობის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის წარმატების ძირითადი პირობის, განხორციელების თვალსაზრისით.

მეორე მხრით, ნათქვამი იყო ყრილობის რეზოლუციაში, პარტიულმა პროპაგანდამ უნდა განმარტოს საბჭოთა ხელისუფლების მტრების უახლესი ტაქტიკური ხერხების **თავისებურება.**

„ეს მტრები,—აღნიშნავდა რეზოლუცია, — დარწმუნდნენ რა კონტრრევოლუციის უიმედობაში აშკარა თეთრგვარდიული დროშით, ახლა ყოველივე ღონეს ხმარობენ იმისათვის, რათა, რკპ-ის შიგნით უთანხმოებათა გამოყენებით, დასძრან კონტრრევოლუცია ასე თუ ისე იმ პოლიტიკური დაჯგუფებებისათვის ძალაუფლების გადაცემის გზით, რომლებიც გარეგნულად ყველაზე ახლო დგანან საბჭოთა ხელისუფლების ცნობასთან“ (საკ. კ. პ. (ბ) რეზოლუციებში, ნაწ. I, გვ. 373—374).

შემდეგ რეზოლუცია აღნიშნავდა, რომ პარტიულმა პროპაგანდამ „უნდა გამოარკვიოს აგრეთვე წინანდელი რევოლუციების გამოცდილება, როდესაც კონტრრევოლუცია მხარს უჭერდა უკიდურეს რევოლუციურ პარტიებთან ყველაზე ახლო მდგომ წვრილბურჟუაზიულ დაჯგუფებებს, რათა შეერყია და დაემხო რევოლუციური დიქტატურა, რითაც გზას უხსნიდა კონტრრევოლუციის, კაპიტალისტებისა და მემამულეების შემდგომ სრულ გამარჯვებას“.

„პარტიის ერთიანობის შესახებ“ მიღებულ რეზოლუციას მჭიდროდ უკავშირდებოდა მეორე რეზოლუცია „ჩვენს პარტიაში სინდიკალისტური და ანარქისტული გადახრის შესახებ“, აგრეთვე წარმოდგენილი ლენინის მიერ და მიღებული ყრილობის მიერ. ამ რეზოლუციაში X ყრილობამ დაჰგმო ეგრეთწოდებული „მუშათა ოპოზიცია“. ყრილობამ აღიარა, რომ ანარქო-სინდიკალისტური გადახრის იდეების პროპაგანდა შეუთავსებელია კომუნისტური პარტიისადმი კუთვნილებასთან და მოუწოდა პარტიას ამ გადახრის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ.

X ყრილობამ მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება სასურსათო გაწერიდან სასურსათო გადასახადზე გადასვლის შესახებ, **ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე** (ნეპი) გადასვლის შესახებ.

სამხედრო კომუნიზმიდან ახალი ეკონომიური პოლიტიკისაკენ ამ მობრუნებაში იჩინა თავი ლენინური პარტიის მთელმა სიბრძნემ და შორსმჭვრეტელობამ.

ყრილობის გადაწყვეტილებაში ლაპარაკი იყო სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლაზე. ნატურალური სასურსათო გადასახადი უფრო ნაკლები იყო, ვიდრე სასურსათო გაწერა. გადასახადის თანხა გამოქვეყნებული უნდა ყოფილიყო საგაზაფხულო თესვამდე. ზუსტად იყო დაწესებული გადასახადის ჩაბარების ვადები. ყველაფერი ის, რაც გადასახადს ზევით რჩებოდა, გადადიოდა გლეხის სრულ განკარგულებაში, რომელსაც ენიჭებოდა ამ ზედმეტი პროდუქტებით ვაჭრობის თავისუფლება. ვაჭრობის თავისუფლება, აღნიშნავდა ლენინი თავის მოხსენებაში, პირველ ხანებში გამოიწვევს კაპიტალიზმის ერთგვარ გამოცოცხლებას ქვეყანაში. მოგვიხდება დავუშვათ კერძო ვაჭრობა და ნება დავრთოთ კერძო მრეწველებს გახსნან წვრილი საწარმოები. მაგრამ ამისი არ უნდა გვეშინოდეს. ლენინი სთვლიდა, რომ საქონელბრუნვის ერთგვარი თავისუფლება გააძლიერებს გლეხის სამეურნეო დაინტერესებას, გაადიდებს მისი შრომის ნაყოფიერებას და გამოიწვევს სოფლის მეურნეობის სწრაფ აღმავლობას, რომ ამ საფუძველზე აღდგენილი იქნება სახელმწიფო მრეწველობა და განიდევნება კერძო კაპიტალი, რომ ძალებისა და სახსრების დაგროვებით, შეიძლება შევქმნათ მძლავრი ინდუსტრია—სოციალიზმის ეკონომიური საფუძველი, და შემდეგ გადავიდეთ გადამწყვეტ შეტევაზე, რათა მოვსპოთ კაპიტალიზმის ნაშთები ქვეყანაში.

სამხედრო კომუნიზმი იყო ცდა აგვეღო კაპიტალისტური ელემენტების ციხე-სიმაგრე ქალაქად და სოფლად იერიშით, პირდაპირი შეტევით. ამ შეტევაში პარტია შორს წავიდა და სწევდა იმის რისკს, რომ მოსწყვეტოდა თავის ბაზას. ახლა ლენინი მოითხოვდა დაგვეხია ცოტა უკან, დაგვეხია დროებით თავის ზურგთან უფრო ახლოს, გადავსულიყავით იერიშიდან ციხე-სიმაგრის უფრო ხანგრძლივ ალყაზე; რათა ძალების დაგროვების შემდეგ კვლავ დაგვეწყო შეტევა.

ტროცკისტები და სხვა ოპოზიციონერები სთვლიდნენ, რომ ნეპი არის **მხოლოდ** უკანდახევა. ასეთი განმარტება მათთვის ხელსაყრელი იყო იმიტომ, რომ მათ აღებული ჰქონდათ ხაზი კაპიტალიზმის აღდგენისაკენ. ეს იყო ნეპის ძალიან მავნე, ანტილენინური განმარტება. და მართლაც, ნეპის შემოღებიდან უკვე ერთი წლის შემდეგ, პარტიის XI ყრილობაზე ლენინმა განაცხადა, რომ **უკან დახევა გათავდა**, და წამოაყენა ლოზუნგი: **„კერძო-მეურნეობრივ კაპიტალზე შეტევის მომზადება“ (ლენინი, ტ. 27, გვ. 213).**

ოპოზიციონერებს, როგორც ცუდ მარქსისტებს და ბოლშევიკური პოლიტიკის საკითხებში მთლად უვიცებს, არ ესმოდათ არც ნეპის რაობა, არც ნეპის პირველ ხანებში დაწყებული უკანდახევის ხასიათი. ნეპის რაობაზე უკვე ზემოთ იყო ლაპარაკი. რაც შეეხება უკანდახევის ხასიათს, უკანდახევა სხვადასხვანაირია. არის მომენტები, როდესაც პარტიას თუ არმიას უხდება უკან დახევა იმიტომ, რომ მან დამარცხება განიცადა. ასეთ შემთხვევებში არმია თუ პარტია უკან იხევს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს თავისი თავი და შეინარჩუნოს თავისი კადრები ახალი ბრძოლებისათვის. ნეპის შემოღებისას ლენინი სრულიადაც არ მოითხოვდა ასეთ უკანდახევას, ვინაიდან პარტიას არა მარტო არ განუცდია დამარცხება და არ ყოფილა განადგურებული, არამედ, პირიქით, მან თვითონ დაამარცხა ინტერვენტები და თეთრგვარდიელები სამოქალაქო ომის დროს. მაგრამ არის ხოლმე ისეთი მომენტებიც, როდესაც ძლევამოსილი პარტია თუ არმია თავის შეტევაში ძალიან შორს მიდის წინ ისე, რომ არ უზრუნველჰყოფს თავისთვის ზურგის ბაზას. ეს სერიოზულ საფრთხეს ჰქმნის. ასეთ შემთხვევებში გამოცდილი პარტია თუ არმია ჩვეულებრივ საჭიროდ სთვლის, იმისათვის, რომ არ მოსწყდეს თავის ბაზას, — რამდენადმე დაიხიოს უკან, თავის ზურგთან უფრო ახლოს, რათა უფრო მტკიცედ დაუკავშირდეს თავისი ზურგის ბაზას, უზრუნველჰყოს თავისი თავი ყოველივე იმით, რაც საჭიროა, და შემდეგ კვლავ გადავიდეს შეტევაზე უფრო გაბედულად, წარმატების გარანტიით. სწორედ ასეთ დროებით უკანდახევას ატარებდა ლენინი ნეპის დროს. მოახსენებდა რა კომინტერნის IV კონგრესს ნეპის შემოღების მიზეზებს, ლენინი პირდაპირ ამბობდა, რომ „ჩვენ ჩვენს ეკონომიურ შეტევაში ძალიან შორს წავედით წინ, რომ ჩვენ ვერ უზრუნველვყავით ჩვენთვის საკმაო ბაზა“ და რომ ამიტომ საჭიროა მოვახდინოთ დროებითი უკანდახევა უზრუნველყოფილი ზურგისაკენ.

ოპოზიციის უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ მას თავისი უვიცობის გამო არ ესმოდა და თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ვერ გაიგო ნეპის დროს მომხდარი უკანდახევის ეს თავისებურება.

X ყრილობის გადაწყვეტილება ნეპის შესახებ უზრუნველჰყოფდა მუშათა კლასის და გლეხობის მტკიცე ეკონომიურ კავშირს სოციალიზმის მშენებლობისათვის.

ამ ძირითად ამოცანას ემსახურებოდა ყრილობის მეორე გადაწყვეტილებაც — ნაციონალური საკითხის შესახებ. ნაციონალურ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. სტალინმა. ჩვენ მოვახდინეთ ნაციონალური ჩაგვრის ლიკვიდაცია, ამბობდა ამხ. სტალინი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ აღმოვფხვრათ წარსულის მძიმე მემკვიდრეობა — წინათ ჩაგრული ხალხების სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ჩამორჩენილობა. უნდა დავეხმაროთ მათ დაეწიონ ამ მხრივ ცენტრალურ რუსეთს.

შემდეგ ამხ. სტალინი მიუთითებდა ნაციონალურ საკითხში ორ ანტიპარტიულ გადახრაზე: დიდმპყრობელურ (ველიკორუსულ) შოვინიზმსა და ადგილობრივ ნაციონალიზმზე. ყრილობამ დაჰგმო ორივე გადახრა, როგორც კომუნიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმისათვის მავნე და საშიში. ამასთან ერთად ყრილობამ თავისი მთავარი ლახვარი წარმართა დიდმპყრობელობის, როგორც მთავარი საფრთხის, წინააღმდეგ, ესე იგი ეროვნებებისადმი ისეთი დამოკიდებულების ნაშთებისა და გადმონაშთების წინააღმდეგ, როგორსაც არარუს ხალხებისადმი იჩენდნენ ველიკორუსი შოვინისტები ცარიზმის დროს.

3. ნეპის პირველი შედეგები. პარტიის XI ყრილობა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა. ლენინის ავადმყოფობა. ლენინის კოოპერატიული გეგმა. პარტიის XII ყრილობა.

ნეპის გატარებას წინააღმდეგობას უწევდნენ პარტიის მერყევი ელემენტები. ერთის მხრით, გამოდიოდნენ „მემარცხენე“ მყვირალები, ლომინაძის, შაცკინის და სხვების ტიპის პოლიტიკური მახინჯები, რომლებიც „ამტკიცებდნენ“, რომ ნეპი—ეს არის ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრებზე ხელის აღება, კაპიტალიზმისაკენ დაბრუნება, საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვა. ამ ადამიანებს, პოლიტიკაში თავისი უვიცობისა და ეკონომიური განვითარების კანონების უცოდინარობის გამო, არ ესმოდათ პარტიის პოლიტიკა, ეძლეოდნენ პანიკას და თავის გარშემო სთესდნენ დაცემულობის განწყობილებებს. მეორე მხრით, გამოდიოდნენ პირდაპირი კაპიტულანტები, როგორც ტროცკი, რადეკი, ზინოვიევი, სოკოლნიკოვი, კამენევი, შლიაპნიკოვი, ბუხარინი, რიკოვი და სხვები, რომლებსაც არ სწამდათ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური განვითარების შესაძლებლობა, რომლებიც ქედს იხრიდნენ კაპიტალიზმის „ძლიერების“ წინაშე და, ცდილობდნენ რა კაპიტალიზმის პოზიციების განმტკიცებას საბჭოთა ქვეყანაში, მოითხოვდნენ მეტ დათმობებს კერძო კაპიტალის წინაშე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთაც, მოითხოვდნენ გადაგვეცა კერძო კაპიტალისათვის საბჭოთა ხელისუფლების მთელი რიგი მბრძანებელი მწვერვალები სახალხო მეურნეობაში—კონცესიების ან საქციო შერეულ საზოგადოებათა საფუძვლებზე კერძო კაპიტალის მონაწილეობით.

ერთნიც და მეორენიც უცხონი იყვნენ მარქსიზმისათვის, ლენინიზმისათვის.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

პარტიული ცხოვრება

ბოლშევიკურად მოვაწყოთ პარტიაში მიღება

„ჩაითვალოს ყველა პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ამოცანად პარტიის რიგებში ახლად შემოსულებთან მუშაობა, ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდა ბოლშევიკური პარტიულობის სულისკვეთებით და მათი მოზიდვა პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის“.

(საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1938 წლის 14 ივლისის დადგენილებიდან)

როგორ მიმდინარეობს აფხაზეთის პარტორგანიზაციის ზრდა

(სოხუმი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

აფხაზეთის პარტიულმა ორგანიზაციამ, ხალხის ყველა ჯურის მტრების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით, პარტიული მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლით, სათანადო წარმატებებს მიაღწია პარტიაში მიღების საქმეში. ეს განსაკუთრებით ითქმის უკანასკნელ თვეებზე, რადგან პარტიულმა ორგანიზაციებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს, პრაქტიკულად შეუდგნენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულებას — პარტიაში მიღების შესახებ.

15 სექტემბრისათვის საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მიერ პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღებული იყო 611 ამხანაგი, ხოლო კანდიდატობიდან წევრად გადარიცხული—167. აქედან ა.-წ. იანვრის შემდეგ როგორც კანდიდატად, ისე წევრად მიღებულია 726 კაცი, საოლქო პარტიული კონფერენციის შემდეგ კი 400 კაცი.

პარტიაში მიღების მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა გალის რაიონში. ამ რაიონის პარტორგანიზაციებმა (რაიკომის მდივანი — ამხ. ლ. ქურსუა) პარტიაში მიიღეს 306 ამხანაგი. დანარჩენ რაიონებში კი პარტიაში მიღებისათვის შედარებით სუსტად იბრძვიან. საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ცნობით 15 სექტემბრისათვის ოჩამჩირის პარტრაიკომს პარტიაში მიღებული ჰყავდა 135 ამხანაგი, რომლებიც აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა დაამტკიცა.

პარტიაში არცერთი კაცი არ მიუღიათ

აფხაზეთის მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებს სრულებით არ უწარმოებიათ პარტიაში მიღება.

გაგრის რაიონში ჩელუსკინელთა სახელობის დასასვენებელი სახლის პარტორგანიზაციას (პარტორგი — ი. ლატოჩკინი) და წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის დასასვენებელი სახლის პარტორგანიზაციას (პარტორგი — ვ. ვოლკოვი) დღემდე სერიოზულად არ უფიქრიათ პარტიის რიგების ზრდაზე. საინტერესო ის არის, რომ ეს ორგანიზაციები საქ. კ. პ. (ბ) გაგრის რაიკომის თვალწინ არიან, მას კი რატომღაც ისინი დღემდე მხედველობიდან გამორჩა.

პარტიაში მიღება სრულებით არ უწარმოებიათ გუდაუთის რაიონის მტს-ის (პარტორგი—ა. ზებია), ბომბორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის (პარტორგი — ხ. დენიკინა), დასასვენებელი სახლის — „ვოლგას“ პარტორგანიზაციებს (პარტორგი—ა. კნიაზევი) და სხვ.

საინტერესოა რატომ ჩამორჩნენ ისინი?

იმიტომ, რომ მათ სუსტად ხელმძღვანელობენ პარტიის რაიკომები, რაიკომების ინსტრუქტორები. გუდაუთის პარტრაიკომი ჯერ არ დაინტერესებულა შეემოწმებინა, თუ რატომ არ ღებულობენ პარტიაში კომკავშირელებსა და თანამგრძნობებს ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციები, რა უშლის მათ ხელს მუშაობაში. რაიკომის ბიურო თუმცა არჩევს პარტიაში მიღების საკითხებს, მაგრამ ზოგადად, საერთოდ, ბიუროს არ მოუსმენია იმ ორგანიზაციათა პარტორგების ინფორმაცია, რომელთაც მიღება არ უწარმოებიათ.

თანამგრძნობებს არ ეხმარებიან

პარტიის რეზერვთან მუშაობა მთელ რიგ პარტორგანიზაციებში სრულებით მივიწყებულია. სოხუმის რაიონის სოფელ წებელდის პარტორგანიზაციასთან (პარტორგი — ქ. შვილიანი) ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებიათ თანამგრძნობთა ჯგუფი. ამ სოფელში მრავლად არიან აგრონომები, მასწავლებლები და სხვ., რომელთაც სურთ იმუშაონ თანამგრძნობთა ჯგუფში, მაგრამ ეს ოდნავაც არ აფიქრებს არც ადგილობრივ პარტორგანიზაციას, არც საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის რაიკომის ხელმძღვანელებს. გაგრის რაიონში კი 10 პარტორგანიზაციასთან არ არსებობს თანამგრძნობთა ჯგუფი.

ქალაქ სოხუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის პარტორგანიზაციასთან არსებულ თანამგრძნობთა ჯგუფში 12 კაცია, ქარხნის პარტკომი (მდივანი—ამხ. ე. აფაქიძე) მათთან სუსტად მუშაობს. თანამგრძნობები მ. კალაიჯიანი და პელაგია კობახიძე წერა-კითხვის მცირემცოდნენი არიან და არ შეუძლიათ პარტიული დავალების შესრულება. პარტკომი არ ეხმარება მათ წერა-კითხვის შესწავლაში. მ. კალაიჯიანი თანამგრძნობია 1936 წლიდან. თანამგრძნობთა უმრავლესობა გამოყოფილია მკითხველ-მესაუბრეებად, მაგრამ არავინ ამოწმებს, თუ როგორ ასრულებენ ისინი ამ დავალებას.

თანამგრძნობთა შორის სუსტად მუშაობს სოხუმის ნავსადგურის პარტორგანიზაციაც. ილარიონ წოწორია თანამგრძნობია 1935 წლიდან. პარტორგანიზაციამ დღემდე ვერ შეასწავლა მას წერა-კითხვა. პარტორგანიზაცია არ ისმენს თანამგრძნობთა ანგარიშებს მათი სწავლისა და მუშაობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ დაადგინა ხშირად მოესმინათ თანამგრძნობების ანგარიშები, ეს საქმე პარტკომმა (მდივანი—ბ. ელბაქიანი) დავიწყებას მისცა.

გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „აქიტაჩიცშის“ პარტორგანიზაციასთან არსებობს პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრე, რომელშიაც ირიცხებიან თანამგრძნობები ს. ჩუვაზი და გ. აბიჯბა მიუხედავად იმისა, რომ ისინი წერა-კითხვის უცოდინარნი არიან და ასეთი ტიპის პოლიტწრეში მეცადინეობა არ შეუძლიათ. თანამგრძნობთა ჯგუფში აქ დღემდე მიღებული ჰყავთ მხოლოდ 2 ამხანაგი. კოლმეურნეობაში კი ბევრია აქტივისტები, სტახანოველები, მაგალითად, ქ. პენია, უ. ბებბულატოვი, ელენა ტანია, გოსოხ ტანია, კუნწალ ტვანბა, ტინათ ხახბა, კატია ტვანბა და სხვ. ესენი მიზიდულ უნდა იქნან თანამგრძნობთა ჯგუფში. ამას არც პარტორგი მ. ტარბა უარჰყოფს, მაგრამ ეს არ კმარა.

სოფელ დრანდის (სოხუმის რაიონი) ტერიტორიული პარტორგანიზაცია ერთერთი ძლიერი ორგანიზაციაა რაიონში. მიუხედავად ამისა, მასთან დღემდე არ არის შექმნილი თანამგრძნობთა ჯგუფი. წინათ თუმცა ასეთი ჯგუფი არსებობდა, მაგრამ ის ცუდი მუშაობის შედეგად დაიშალა.

საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს 15 სექტემბრისათვის პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღებული ჰყავდა 118 თანამგრძნობი, ანუ მიღებულთა საერთო რიცხვის 15,2 პროცენტი, რაც არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

კომკავშირს მეტი დახმარება და მზრუნველობა

იქ, სადაც პარტიული ამხანაგები სწორად ხელმძღვანელობენ და აქტიურად ეხმარებიან კომკავშირის პირველადს ორგანიზაციას, მუშაობა წინ მიდის. ამის მაგალითები აფხაზეთში ბევრია (გალის რაიონის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობა, ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, სოხუმის რაიონის სოფელ ბაბუშერის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა და სხვ.). მაგრამ მათ გვერდით მრავლად მოიპოვებიან ისეთი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც კომკავშირისადმი ხელმძღვანელობას გულგრილად უყურებენ.

ქალაქ სოხუმის თამბაქოს საფერმენტაციო ფაბრიკაში კომკავშირის ძლიერი ორგანიზაცია არსებობს, რომელსაც ქარხნის პარტკომი სუსტად ეხმარება. პარტკომმა (მდივანი—ე. აფაქიძე) კომკავშირის ორგანიზაციას მიამაგრა კომუნისტები ა. ტოკარევა და ნ. ერემიანი, მაგრამ შემდეგ აღარ შეუმოწმებია, როგორ ეხმარებიან ისინი კომკავშირელებს.

კომკავშირის ორგანიზაციისადმი ასეთი უყურადღებობით უნდა აიხსნას ის, რომ პარტკომს 38 კომკავშირელიდან პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებული ჰყავს მხოლოდ 4 კაცი.

გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „აქიტა ჩიცის“ პარტორგანიზაციამ 11 აგვისტოს მოისმინა კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის მდივნის ამხ. ს. ტვანბას მოხსენება ორგანიზაციის მუშაობის შესახებ და მიიღო ასეთი ზერელე დადგენილება: „კიდევ მალე იქნას მოსმენილი მოხსენება კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობის შესახებ“. რა უნდა გააკეთოს კომკავშირის ორგანიზაციამ, რას მიაქციოს მთავარი ყურადღება შემდეგში, რა სისუსტეს ხედავს პარტორგანიზაცია მის მუშაობაში, ამაზე დადგენილებაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. საინტერესო ის არის, რომ ეს ოქმი გადაიკითხა საქ. კ. პ. (ბ) გუდაუთის რაიკომის ინსტრუქტორმა ამხ. ვ. არგუნმა და უბრალო შენიშვნაც კი არ მიუცია პარტორგისათვის დადგენილების ასეთი უმსგავსო გაფორმებისათვის.

აფხაზეთის პირველადს პარტორგანიზაციებში პარტიაში კომკავშირელთა მიღების საქმეს ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება. მართალია, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მიერ უკვე დამტკიცებულია პარტიის წევრობის კანდიდატად 466 კომკავშირელი, რაც მთელს რესპუბლიკაში მიღებულთა საერთო რიცხვის 59 პროცენტს შეადგენს, მაგრამ თუ ავიღებთ კომკავშირის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტის მიერ რეკომენდებულ კომკავშირელთა რიცხვს, ნათელი გახდება, რომ აფხაზეთში პარტიაში დღემდე კომკავშირელთა კიდევ მცირე რაოდენობაა მიღებული. კომკავშირის რაიკომების და საქალაქო კომიტეტის მიერ რეკომენდაცია მიცემული აქვს 1500 კომკავშირელს. მათგან ბევრის მიღება შეფერხებულია რეკომენდატორების უყოლობის გამო. პარტიული ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ კომკავშირელებს ამ საქმეშიც და დროზე მიიღონ ისინი საკ. კ. პ. (ბ) რიგებში.

სოხუმის ნავსადგურის პარტორგანიზაციის პარტწევრობის კანდიდატები (მარჯვნიდან მარცხნივ): ამხ. მ. ჯღარკავა (აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი), ს. მალიხინი და კომკავშირელი შ. კურთხალ-ოღლი ეცნობიან საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს.

ფოტო გ. ტოლმაჩევისა.

პარტწევრობის კანდიდატებს დავალება არა აქვთ

კანდიდატებთან სუსტი მუშაობის შედეგია, რომ აფხაზეთში ბევრია სტაჟგადაცილებული პარტიის წევრობის კანდიდატი.

აფხაზვაჭრობის ორგანიზაციაში ირიცხება პარტიის წევრობის კანდიდატი გ. ზადიკიანი. ის კანდიდატია 1925 წლიდან დღემდე არა ეშველა რა მის გადარიცხვას პარტიაში. აფხაზვაჭრობის პარტორგანიზაციის პარტორგი ე. ჟულიოვი და მისი მოადგილე ა. მაისკი ოდნავაც არ იწუხებენ თავს ამ სერიოზული დეფექტის გამოსასწორებლად. მარტო ქალაქ სოხუმის პარტორგანიზაციებში ირიცხება 101 სტაჟგადაცილებული კანდიდატი, ხოლო მთელ რესპუბლიკაში მათი რიცხვი 265-მდე აღწევს.

პარტიის წევრობის კანდიდატებს მთელ რიგ პარტორგანიზაციებში აძლევენ დავალებებს, უმთავრესად გამოჰყოფენ ხოლმე წამკითხველ-მოსაუბრეებად, მაგრამ დავალებას რომ მისცემენ, ამით ყველაფერი გაკეთებული ჰგონიათ და შემდეგ არ ამოწმებენ მათს მუშაობას, არ ეხმარებიან მათ მიცემული დავალების შესრულებაში. მაგალითად, სოხუმის რაიონის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციაში პარტიის წევრობის 8 კანდიდატია. აქედან ყველას დავალებული აქვს გაზეთის ხმამაღლა წაკითხვა. პარტკომი (მდივანი—ვ. ტაბაყუა) არ ამოწმებს მათს მუშაობას. აქ ამას წინათ კრებაზე მოისმინეს წამკითხველ-მოსაუბრედ გამოყოფილი კანდიდატების გ. თოდუას და დ. ჩაჩავას ანგარიში მათი მუშაობის შესახებ, რამაც უშედეგოდ ჩაიარა. საკითხი სრულებით მოუმზადებელი იყო და დადგენილებაშიც ასე აღნიშნეს: „დაევალოთ გააუმჯობესონ მუშაობა“.

კოლმეურნეობა „კრასნი ოჩემჯირასთან“ (გუდაუთის რაიონი) არსებულ პარტორგანიზაციაში პარტიის წევრობის 6 კანდიდატია. აქედან მხოლოდ ერთს — ამხ. მანჩა საკანიას აქვს მიცემული პარტიული დავალება. იგი გამოყოფილია აგიტატორად. სხვა ამხანაგები დატოვებული არიან ყოველგვარი დავალების გარეშე, თუმცა მათ კარგად შეუძლიათ შეასრულონ პარტიული დატვირთვა.

კანდიდატებთან მუშაობა სუსტად არის დაყენებული სოხუმის ელსადგურის პარტორგანიზაციაში. აქ აპრილში პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს 5 ამხანაგი. შემდეგ მიღება აღარ უწარმოებიათ, მიუხედავად იმისა, რომ პარტიაში მისაღები ცოტა როდია.

სოხუმის თამბაქოს ქარხნის პარტორგანიზაციის პარტკანდიდატი ფენია პოპანდოპულო წერა-კითხვის უცოდინარია. პარტორგანიზაციამ დღემდე ვერ შესძლო სათანადო დახმარება გაეწია მისთვის, შეესწავლებინა წერა-კითხვა. ამხ. პოპანდოპულო სწავლობს საკანდიდატო პოლიტწრეში და ცდილობს აქტიურად იმეცადინოს, მაგრამ, როგორც წერა-კითხვის უცოდინარს, მეცადინეობა უძნელდება. საჭირო იყო მასთან ინდივიდუალური მუშაობა, ხოლო პროპაგანდისტი გ. ბუმბურიძე ამ საქმით ჯერ არ დაინტერესებულა.

გაბედულად მივიღოთ ქალები პარტიის რიგებში

აფხაზეთში, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, თვალსაჩინო გახდა ქალთა აქტივის ზრდა. ქალები გახდნენ აგრონომები, მასწავლებლები, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, ბრიგადირები, უმაღლესი საბჭოების დეპუტატები და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა პარტიის რიგებში მიიღო 93 ქალი, მაგრამ ეს როდი კმარა. საჭიროა მეტი მუშაობა ამ მიმართულებით.

ხშირად ადგილი აქვს პარტიაში ქალების მიღებისადმი უყურადღებობას. მაგალითად, სოხუმის ელექტროსადგურში გამჩარხავად მუშაობს კომკავშირელი ქალი ამხ. ა. ანისიმოვა, რომელიც წინათ შეგირდი იყო. მან სულ მცირე ხნის განმავლობაში გამოიჩინა შესანიშნავი ინიციატივა, დაეუფლა მუშაობის ტექნიკას და სტახანოველი გახდა. ამხ. ანისიმოვას სურს შევიდეს პარტიაში, მაგრამ ამ საქმეში მას დახმარებას არ უწევენ არც კომკავშირული და არც პარტიული ორგანიზაციები.

მარტო გაგრის რაიონში, სადაც უამრავი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლებია, რომელთა საექიმო და მოსამსახურე პერსონალი ძირითადად ქალებისაგან შესდგება, პარტიაში მიღებულია მხოლოდ 7 ქალი.

აფხაზეთის ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში სჩივიან ანკეტების სიმცირეზე. მაგალითად, ანკეტების უქონლობის გამო გუდაუთის რაიონის სოფელ ოჩემჯირის პარტორგანიზაციაში შეჩერებულია თანამგრძნობების ცაცა აგრბას, მექთად გუმბრას, შულია ლაკერბაიას და ზ. ანშბას მიღება პარტიაში. პარტიაში მიღება ანკეტების უქონლობის გამო შეფერხებულია აგრეთვე იმავე რაიონის კოლმეურნეობა „აქიტა ჩიცის“ პარტორგანიზაციაში (ქ. ტანია, კ. ტანია და სხვ.).

ანკეტების სიმცირე გამოწვეულია იმით, რომ მთელ რიგ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ისწავლეს მათი მოვლა. ანკეტების შევსებას და გაფორმებას ხშირად უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან. ამიტომ პარტიის რაიკომებში დასტებად აწყვია გაფუჭებული ანკეტები. მარტო გუდაუთის რაიონში გაფუჭდა 131 ანკეტა. რაიკომის ინსტრუქტორები არ ეხმარებიან პარტიაში შემსვლელთ ანკეტების შევსებაში. სოხუმის რაიონის სოფელ დრანდის პარტორგანიზაციაში უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში ცუდი შევსების გამო გაფუჭდა 8 ანკეტა.

განსაკუთრებით გასულ წლებში ხალხის მტრებმა ჩაშალეს პარტიაში მიღება. 1938 წლის პირველი იანვრისათვის აფხაზეთის პარტორგანიზაციებში მიღებული იყო მხოლოდ 52 კაცი. აქტიური მუშაობა პარტიის რიგების ზრდისათვის განსაკუთრებით გაძლიერდა საოლქო პარტიული კონფერენციის შემდეგ. მაგრამ ჯერ კიდევ მთელ რიგ პირველადს ორგანიზაციებში და რაიკომებში მუშაობა ამ მხრივ სუსტია. პარტიაში მიღების საქმეს უნდა მიექცეს მეტი ყურადღება და დაუყოვნებლივ გამოსწორდეს აღნიშნული ნაკლოვანებები.

ზ. მერკვილაძე

ქ. საფონოვი

მოსკოვის „1905 წლის რევოლუციის ხსოვნის“ სახ. ვაგონ-სარემონტო ქარხნის პროპაგანდისტი

როგორ ვემზადები პარტიის ისტორიის სწავლებისათვის

ბოლშევიკისათვის არ არის იმაზე უფრო დიდი პატივი, ვიდრე პარტიის დავალება—შეიტანოს მასებში ლენინიზმის ცოცხალი სიტყვა, კომუნიზმის მშენებლები შეაიარაღოს მეცნიერული თეორიით. პროპაგანდისტის ვალია — გახდეს მასების რევოლუციური განმანათლებელი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ამ ამოცანას რომ თავი გავართვათ, საკმარისი არ არის ვიცოდეთ ისტორიული განვითარების საერთო სქემა და მოვიმარაგოთ სათანადო ციტატების საჭირო რაოდენობა.

ჩვენი პროპაგანდისტების წრეში ზოგჯერ ვამჩნევთ ყოყოჩობას. ეს საშიში სენია. თუ კაცმა წარმოიდგინა, ვითომც ყველაფერი იცის, — გათავდა: იგი ხდება ფუქსავატი, წყლის მნაყველი, მოლაყბე. ახლა სრულიად შეუძლებელია ძველი ბარგით, ძველი ცოდნის ნაგლეჯებით ცხოვრება, ძველი მასალების იმედით ყოფნა. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი მოითხოვს ჩვენგან, მთელი ჩვენი ცოდნის სრულ გადასინჯვასა და გადაფასებას.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის სწავლება პროპაგანდისტისაგან მოითხოვს მთელი წიგნის ღრმა წინასწარ შესწავლას, რათა მისთვის მიცემულმა არცერთმა შეკითხვამ, რა შორეული დამოკიდებულებაც არ უნდა ჰქონდეს მას თემასთან, არ მოამწყვდიოს იგი ჩიხში. მაგრამ თუ ასეთი მარცხი მოუვა, პროპაგანდისტს უნდა ეყოს გამბედაობა პირდაპირ გამოუტყდეს მსმენელებს, რომ ეძნელება პასუხის გაცემა ამ შეკითხვაზე პასუხს მისცემს შემდეგ მეცადინეობაზე. პატივისცემით მოეპყარი მსმენელს — ილაპარაკე მხოლოდ იმაზე, რაც დანამდვილებით იცი!

ჩვენი მოვალეობაა, ჩავუნერგოთ ჩვენს მსმენელებს თვითგანვითარების — სისტემატური დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიული მოთხოვნილება. პარტიული განათლების წრე—ეს არის წრე, სადაც ყველა მონაწილე აქტიურად მუშაობს არა მარტო თვით მეცადინეობაზე, არამედ სახლშიც.

პროპაგანდისტი მასწავლებელი როდია, როგორც ეს ჩვეულებრივ გვესმის, არამედ ეს არის მეცნიერი ხელმძღვანელი ადამიანებისა, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ თავიანთ საგანს. ბოლშევიზმის იდეების პროპაგანდისტად გახდომას უნდა ცდილობდეს თვითეული კომუნისტი. აი, მაგალითად, ჩემი წრის ერთერთი მსმენელია მხურავი მუშა როდიონოვი. მას მხოლოდ დაბალი განათლება აქვს, მაგრამ იგი სიყვარულით მუშაობს წიგნზე და თვითეული მეცადინეობისათვის ისე სერიოზულად ემზადება, თითქოს თვითონ უნდა უხელმძღვანელოს წრესო.

იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ კომუნისტების წარმატებითი მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსზე, საჭიროა ვიზრუნოთ ორ რამეზე: წრეების სწორად დაკომპლექტებაზე და აქტივისტთა თავისუფალ დროზე — ჩვენი დროის სწორად ხარჯვაზე.

ჩემს წრეში 19 მსმენელია. მე გამოცდილებით ვიცი, რომ იქ, სადაც 20 კაცზე მეტია, პროპაგანდისტს არ ძალუძს სწორად უხელმძღვანელოს ყველა მსმენელს და არ შეუძლია მთლიანად გამოიყენოს თვითეული მათგანის აქტივობა. ჩემი წრის ყველა მსმენელი კომუნისტია. მაგრამ ამ ადამიანთა მომზადების დონე სხვადასხვაა. როგორ მოხდა ეს? სამწუხაროდ, წრეების დაკომპლექტების დროს ჩვენ ჯერ კიდევ ზერელედ, ფორმალური მონაცემების მიხედვით, ვმსჯელობთ ამხანაგების ცოდნაზე. ახლა, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელ წრეებში კომუნისტთა განაწილებისას, საჭიროა ანგარიში გავუწიოთ არა ჩვეულ შთაბეჭდილებებს, არ განვსაჯოთ ერთი-ორი სწორი ან არასწორი პასუხის მიხედვით. მხედველობაში უნდა მივიღოთ ადამიანის საერთო სახე, მისი ცოდნის საერთო დონე.

წრეების მეცადინეობის დაწყებამდე თვითეული კომუნისტი დამოუკიდებლად და საფუძვლიანად უნდა გაეცნოს პარტიის ისტორიის მოკლე კურსს. ეს სერიოზული პარტიული საქმეა. და პირდაპირ სავალალოა ხოლმე იმის დანახვა, თუ როგორ უქმად იხარჯება ჩვენი აქტივის დრო სხვადასხვა ნაკლებნაყოფიერ სხდომებსა და თათბირებზე, რომლებიც ადამიანებს უაზროდ ართმევენ მთელ საღამოებს, როდესაც წიგნის კითხვა მათ უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა.

თავისუფალი დროის რა მარაგი აღმოჩნდებოდა თვითეული ჩვენგანის განკარგულებაში, ჩვენ რომ უფრო გონივრულად — მაშასადამე, უფრო იშვიათად — ვმართავდეთ სხდომებს! ზოგიერთს საქმოსნურად განწყობილ მუშაკს ვერ გაუგია, რომ გონებრივი ჰორიზონტის გაფართოვება აადვილებს პრაქტიკულ მუშაობას, რომ თეორიის დაუფლებაზე დახარჯული დრო ჭარბად ანაზღაურდება ყოველდღიურ პრაქტიკაში. კარგი იქნება, რომ თვითეულმა კომუნისტმა ექვსდღიურში ერთი საღამო — სამუშაო, და არა გამოსასვლელ დღეს — მთლიანად დაუთმოს თვითგანვითარებას, წრის მომავალი მეცადინეობისათვის მომზადებას. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პროპაგანდისტებისათვის.

წრეებში მეცადინეობის დაწყებამდე ჩვენ ვალდებული ვართ, სემინარებშიაც და დამოუკიდებლადაც შევუდგეთ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლას. მაშინ ჩვენ შეგვეძლება განვაგებდეთ მასალას თვითეული მეცადინეობისათვის მზადებისას. უკვე ამჟამად ჩვენმა პარტკაბინეტმა პროპაგანდისტებთან ერთად უნდა იზრუნოს თვალსაჩინო ხელსაწყოებზე. ამაზე წინასწარ უნდა ვიფიქროთ, ისევე როგორც შესწავლის მეთოდიკაზე. წინათ ჩვენთან ქარხანაში თუმცა იყო კონსულტაციები, მაგრამ მათგან სარგებლობა ჩვენ არ გვინახავს: ერთ წრეში გადიოდნენ, მაგალითად, მეექვსე თემას, მეორეში — მერვეს, მესამეში—კიდევ რომელიმეს. შეიკრიბებიან პროპაგანდისტები, და, როდესაც კონსულტანტი ერთს უპასუხებს, დანარჩენებს მისი პასუხი არ აინტერესებს. ახლა ყველა წრე მეცადინეობას დაიწყებს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის პირველი თავიდან, და სრული შესაძლებლობა მოგვეპოვება გამოვაცოცხლოთ კონსულტაციები და მოვაგვაროთ გამოცდილების სისტემატური ურთიერთგაზიარება. მაშინ უფრო მომზადებული პროპაგანდისტები თავისი ცოდნით დაეხმარებიან უფრო ნაკლებად გამოცდილებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მშრალად არ ვაწარმოებდეთ პარტიის ისტორიის გადაცემას. თვითეულმა პროპაგანდისტმა წინასწარ უნდა მოიფიქროს, როგორ აწარმოოს მან მეცადინეობა. პარტიის ისტორიის შესწავლისას, მე უკვე ახლა დაახლოვებით ვითვალისწინებ, თუ რა პირველწყაროებს გამოვიყენებ პრინციპულ ფორმულირებათა ახსნა-განმარტებისას — ლენინისა და სტალინის სახელდობრ რა შრომებს და პარტიის რა გადაწყვეტილებებს. პარალელურად ფაქტიური მასალაც უნდა შევკრიბო. მაგალითად, X თავში ნათქვამია, რომ 1926-27 წელს ჩვენ მრეწველობაში დაბანდებული გვქონდა დაახლოვებით 1 მილიარდი მანეთი, ხოლო სამი წლის შემდეგ — დაახლოვებით 5 მილიარდი. ეს ციფრები უნდა დავასურათოთ ცოცხალი მაგალითებით, რომლებიც ნატურით გვიჩვენებენ სოციალისტური მშენებლობის გაქანებას. ყოველივე ეს მოსამზადებელი, შავი მუშაობაა, მაგრამ ის ძალიან გაგვიადვილებს შემდეგში მეცადინეობისათვის მომზადებას.

კრასნაია პრესნიას რაიონში ლექტორიუმი არსებობს. სამწუხაროდ, ჩვენი ქარხნის პროპაგანდისტები იქ იშვიათად დაიარებიან. სასურველია, რომ ლექციების გეგმა პირდაპირ შეფარდებული იყოს პარტიის მოკლე კურსის თავებთან: მაგალითად, ნაროდნიკობის შესახებ, 1905 წლის რევოლუციის შესახებ. ეს დიდი დახმარება იქნებოდა პროპაგანდისტებისათვის.

ყველა ჩვენგანისათვის პარტიის ისტორიის მოკლე კურსი წარმოადგენს პროპაგანდის ლენინურ-სტალინური სტილის, ენის სიზუსტისა და სიცხადის ნიმუშს, მასალის დალაგების თანმიმდევრობისა და თეორიულ მსჯელობათა სიღრმის ნიმუშს.

საჭიროა თუ არა ამის დამტკიცება ციტატებით? განა შეიძლება, მაგალითად, უფრო მკვეთრად ჩამოსხმულად თქმა:

„კულაკობის, როგორც ყველაზე მრავალრიცხოვანი ექსპლუატატორული კლასის, ლიკვიდაციამ და გლეხობის ძირითადი მასების გადასვლამ კოლმეურნეობების გზაზე გამოიწვია ქვეყანაში კაპიტალიზმის უკანასკნელი ფესვების მოსპობა, სოფლის მეურნეობაში სოციალიზმის გამარჯვების დამთავრება, სოფლად საბჭოთა ხელისუფლების საბოლოოდ განმტკიცება“. (XI თავი).

პარტიის ისტორიის ყოველი სტრიქონით პროპაგანდისტები ისწავლიან ბოლშევიკური პროპაგანდის ენას: აქ მცირეში მოთავსდა დიადი—მთელი სიბრძნე, მთელი ისტორია და ფილოსოფია ჩვენი ბრძოლისა. პროპაგანდისტმა ყოველი თავისი ფრაზის აზრის სიღრმე, შინაარსიანობა უნდა შეათავსოს რევოლუციურ მგზნებარებასთან. პარტიის ისტორიის ფურცლები, თავის მეცნიერულ სიზუსტეში სიმტკიცითა და სიდინჯით აღსავსენი, უდიდეს აღფრთოვანებას გამოიწვევენ წრეების მეცადინეობაზე. ამაშია მართალი და მარტივი, მასებისათვის გასაგები და ახალი საგმირო საქმეებისაკენ მომწოდებელი ბოლშევიკური სიტყვის უდიდესი ძალა.

„პრავდა“

მეტი მზრუნველობა პარტიაში მიღების საქმეს

საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომმა დიდი მუშაობა ჩაატარა პარტიის რიგებში ლენინ-სტალინის პარტიის საქმის ერთგული ადამიანების მიღებისათვის.

რაიონში არიან პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც დროულად მოჰკიდეს ხელი ისეთი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეს, როგორიცაა პარტიაში მოწინავე ადამიანთა მიღება. მაგალითად, გურჯაანის რკინიგზის კვანძის პარტორგანიზაციამ (პარტკომის მდივანი — გოგიჩაიშვილი) პარტიაში მიიღო 27 პარტწევრკანდიდატი, ყანდაურის კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენასთან“ არსებულმა პარტორგანიზაციამ (პარტკომის მდივანი—ტერტეროვი)—11, გურჯაანის მტს-თან არსებულმა პარტორგანიზაციამ (პარტკომის მდივანი—ჩაჩანიძე)—9 და ა. შ.

ესენი არიან მოწინავე პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც მონდომებით აწარმოებენ პარტიაში საუკეთესო ადამიანთა მიღებას. მაგრამ რაიონში არიან ჩამორჩენილი პარტიული ორგანიზაციებიც, რომლებმაც რაიკომის მრავალი მითითების მიუხედავად ვერ უზრუნველჰყვეს შესაფერისი გარდატეხა ამ საქმეში. კალაურის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობასთან (პარტორგი—ჩალაძე) და ჩუმლაყის კოლმეურნეობა „გუთანთან“ (პარტკომის მდივანი — ბერულაშვილი) არსებულ პარტორგანიზაციებს პარტიის რიგებში არც ერთი კაცი არ მიუღიათ. ამჟამად რაიკომის ბიურომ მიუთითა ზონის ინსტრუქტორებს განსაკუთრებით დაეხმარონ ამ ჩამორჩენილ პარტორგანიზაციებს პარტიაში ახალ წევრთა მიღების გაუმჯობესებისათვის.

რაიონში დღეისათვის ათობით ახლად მიღებული კომუნისტები დაწინაურებული არიან სამეურნეო, ადმინისტრატიულ და საპროპაგანდო მუშაობის საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. მაგალითად, ამხანაგები შველიძე, სულაბერიძე, გურგენაშვილი, კანდელაკი და სხვ. რაიკომის ბიურომ დაამტკიცა პროპაგანდისტებად სხვადასხვა ტიპის პოლიტსკოლებში, ხოლო ჯავახიშვილი, პაიჭაძე, მირველაშვილი, ხაჩიშვილი და სხვ. დამტკიცებული არიან აგიტატორებად. ახლადდაწინაურებული ამხანაგები დიდი მონდომებით მუშაობენ.

გურჯაანის რაიონის პარტიული ორგანიზაციები მომავალში უფრო მეტი მონდომებით იმუშავებენ, რათა უკეთესად დააყენონ პარტიაში მიღების საქმე, გააუმჯობესონ კანდიდატებთან, თანამგრძნობებთან და კომკავშირლებთან მუშაობა, გამოზარდონ და მისცენ ლენინ-სტალინის დიად პარტიას იდეოლოგიურად მომზადებული და პოლიტიკურად საიმედო ადამიანები.

დ. კოპიაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანი.

კამათი ერთა ლიგის მეექვსე (პოლიტიკურ) კომისიაში

ჟენევა, 24 სექტემბერი (საკდესი). ერთა ლიგის მეექვსე (პოლიტიკურ) კომისიაში გუშინ საღამოს მთელმა რიგმა დელეგატებმა განაცხადეს, რომ ისინი თანახმანი არიან ინგლისის წინადადებაზე არასავალდებულოდ ჩაითვალოს წესდების მე-16 მუხლი. ამ დელეგატებს შორის არიან პოლონეთის, ლატვიის, ირლანდიის, საბერძნეთის, აგრეთვე იმ სახელმწიფოების წარმომადგენელნი, რომელთაც ხელი მოაწერეს ახლო-აღმოსავლეთის პაქტს (ერაყი, ირანი, ავღანისტანი და თურქეთი). ერთა ლიგის წესდებაში ამ ცვლილების შეტანის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა მექსიკის წარმომადგენელმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ აგრესიის ფაქტის აღიარების მომენტიდან ლიგის ყველა წევრი ვალდებული რჩება გამოიყენოს ეკონომიური და ფინანსიური სანქციები. კემპბელმა (ახალი ზელანდია) განაცხადა, რომ მის ქვეყანას არ შეუძლია მიიღოს რაიმე განმარტება ან განცხადება, რომელიც შეასუსტებდა წესდების პრინციპებს. პოლბონკურმა (საფრანგეთი) განაცხადა, რომ ახლანდელ განსაკუთრებით საშიშ მომენტში უდროოა ისეთი ზომების მიღება, რომლებმაც შეიძლება კიდევ უფრო შეასუსტონ ერთა ლიგა. კოლუმბიის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა იმას, რომ სავალდებულოდ დარჩეს ლიგის წესდების მე-16 მუხლი, ველინგტონ კუმ (ჩინეთი) თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ცალმხრივი დეკლარაციების გზით ხელშეკრულებათა შეცვლის მეთოდი კიდევ უფრო შეარყევს მშვიდობიანობის საფუძვლებს. ინგლისის წინადადება იმის შესახებ, რომ აგრესორისათვის წინააღმდეგობის გაწევის საკითხი შემთხვევიდან შემთხვევამდე უნდა გადასწყდეს, უაზრობად აქცევს წესდების ძირითად პრინციპებს. დელ ვაიომ (ესპანეთი) სთქვა, რომ იგი მხარს არ დაუჭერს არავითარ წინადადებას, რომელმაც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ შეასუსტოს კოლექტიური უშიშროების პრინციპები.

თათბირი ვაშინგტონში

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი („პრავდის“ საკ. კორ.). ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ მთავრობის წრეებში ხდება თათბირები ამერიკის შეერთებული შტატების იმ ეკონომიურ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მიღებული იქნება, თუ ევროპაში ომი ასტყდა.

პრეზიდენტი ეთათბირა ფინანსისტ ბერნარდ ბარუხს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო - სამრეწველო საბჭოს თავმჯდომარედ იყო წინა მსოფლიო ომის დროს და იმ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მრეწველობას ხელმძღვანელობდა. ამბობენ, რომ რუზველტისა და ბარუხის მოლაპარაკების დროს ლაპარაკი იყო სამხედრო-სამრეწველო საბჭოს აღდგენაზე. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ბარუხმა პრეზიდენტის ყურადღება მიაქცია იმას, რომ მექსიკა კვლავ დიდძალ ნავთს აწვდის გერმანიას. მთავრობის ორგანოებმა შეიმუშავეს ფინანსების მართვა-გამგებლობის გეგმა იმ შემთხვევისათვის, თუ ომი ასტყდება.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ სწერს:

„ცენტრალური ევროპის ამბები ერთხელ კიდევ გვაძლევენ იმის ტრაგიკულ დამტკიცებას, რომ ვერც ერთი ქვეყანა ვერ იგრძნობს მშვიდობიანობასა და ნამდვილ შესვენებას ომის საფრთხისაგან მანამდე, ვიდრე მშვიდობის მოყვარე ნაციათა ძალები არ იქნება მობილიზებული საერთაშორისო კანონიერებისა და წესრიგის დასაცავად“.

(პრავდა“, 25 სექტემბერი).

საპროტესტო მოძრაობა ინგლისში ჩემბერლენის პოლიტიკის წინააღმდეგ

ლონდონი, 25 სექტემბერი (საკდესი). საპროტესტო მოძრაობა ინგლისში ჩემბერლენის პოლიტიკის წინააღმდეგ თანდათან იზრდება. ინგლისის ყველა კუთხიდან მოდის მუშათა კოლექტიური პროტესტები. პროტესტის რეზოლუციები მიიღეს ქალაქ შეფილდის პროფსაბჭომ, ქალაქ ბირმინჰამის მანქანათმშენებელთა პროფკავშირმა, არმსტრონგის ფირმის ერთი სამხედრო საწარმოს მუშებმა და ლონდონის ოლქის სხვადასხვა საწარმოთა მუშებმა. წარსული კვირის განმავლობაში ლეიბორისტთა პარტიამ მთელს ინგლისში მოაწყო 2 ათასი საპროტესტო მიტინგი. გუშინ ინგლისის მთავრობას რამდენიმე დელეგაციამ ჩააბარა პროტესტები „ჩეხოსლოვაკიის მიმართ მთავრობის გამცემლური პოლიტიკის“ წინააღმდეგ.

ავიაციის სამინისტროს ახალი შენობის მშენებლობაზე მომუშავე 2 ათასი მშენებელი მუშის დეპუტაციამ წარადგინა რეზოლუცია, რომელიც ჩემბერლენის გადაყენებას მოითხოვს. კოოპერატიული პარტიის ნაციონალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა თავის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები მოაწყოს ჩემბერლენის პოლიტიკის წინააღმდეგ.

დღეს ჰაიდ-პარკში შესდგება საპროტესტო დემონსტრაცია, რომელსაც აწყობს ინგლისის კომპარტია. დღეს შესდგება აგრეთვე მასობრივი საპროტესტო მიტინგები ჩემბერლენის პოლიტიკის წინააღმდეგ ლეიბორისტთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გლაზგოში, ბრისტოლში, შეფილდში, მანჩესტერსა და სხვ. ქალაქებში. ხვალ ასეთივე მიტინგები მოწვეული იქნება ლონდონსა და ედინბურგში.

გუშინ ლონდონში შესდგა პარლამენტის 30 კონსერვატორი წევრის თათბირი. თათბირმა გადასწყვიტა გაუგზავნოს წერილი საგარეო საქმეთა მინისტრ ჰალიფაქსს გაფრთხილებით, რომ, თუ ჰიტლერს კიდევ რამეს დაუთმობენ ან ჩეხოსლოვაკიას რაიმე ახალ მსხვერპლს მოსთხოვენ, ისინი თემთა პალატაში, როდესაც ჩეხოსლოვაკიის საკითხის შესახებ იქნება კამათი, მთავრობის წინააღმდეგ მისცემენ ხმას.

პოლონელ ფაშისტთა ახალი მოთხოვნანი

ვარშავა, 23 სექტემბერი (საკდესი). გუშინ ვარშავაში შესდგა ანტიჩეხოსლოვაკური მიტინგი, რომელიც მოწყობილი იყო ნაციონალური გაერთიანების მთავრობის ბანაკის მიერ. მიტინგზე შეჰკრიბეს მთავრობის გასამხედროებული ორგანიზაციები, მოხელენი, წვრილი ვაჭრები, ნაციონალური გაერთიანების ბანაკის ფაშისტურ პროფკავშირთა წევრები, ახალგაზრდობის ფაშისტური ორგანიზაციები, ნაციონალისტური სტუდენტობა, ბოისკაუტი და სხვები.

სიტყვებით გამოვიდნენ არმიის რამდენიმე ოფიციალური პირი და წარმომადგენელი, რომელნიც ყოველმხრივ აღვივებდნენ ბრბოს შოვინისტურ სულისკვეთებას. ყველა ორატორი მოითხოვდა ტეშენის (ჩეხოსლოვაკიის) სილეზიის შეიარაღებული გზით ჩამოშორებას, ერთმა ორატორმა — პოლკოვნიკმა დომბკოვსკიმ თავისი სიტყვა დაამთავრა მოწოდებით: „დადგა ანგარიშის გასწორების საათი! ვარშავა, — ბრძოლისაკენ სილეზიისათვის“!

ნაციონალური გაერთიანების მთავრობის ბანაკის შეფმა გენერალმა სკვარჟინსკიმ განაცხადა: „პოლონეთის მთავრობამ სრულიად მკაფიო ფორმულირება მისცა თავის მოთხოვნებს პრაღის მიმართ. ტეშენის სილეზია უნდა შეუერთდეს პოლონეთს“.

რიდ-სმიგლისადმი გადაცემული რეზოლუცია მოითხოვს ძალდატანებითი ლიკვიდაციას იმ საზღვრისას, რომელიც ტეშენის (ჩეხოსლოვაკიის) სილეზიას ჰყოფს პოლონეთისაგან.

მიტინგი ებრაელთა სავაჭროების დარბევით დამთავრდა. ფანჯრები ჩამტვრეულ იქნა აგრეთვე ჩეხური სავაჭრო ფირმების სადგომებში.

ღამის 12 საათამდე მთელ ვარშავას ყველა სახის იარაღის საპოლიციო რაზმები იცავდნენ. ჩეხოსლოვაკიის საელჩოს პოლიციის ასეული იცავდა. უნგრეთის საელჩოს შენობის წინ ხშირად ტარდებოდა „პოლონეთ-უნგრეთის სოლიდარობის“ დემონსტრაციები. უნგრეთის ელჩი თავის ბინიდან მიესალმა ბრბოს ხელის ფაშისტური აწევით.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ხანკოუელი, შანხაელი და ლონდონელი კორესპონდენტებისაგან მიღებული ცნობების მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

ძიუძიანიდან ხანკოუსაკენ მიმავალ ხაზზე იაპონელთა შეტევის მთავარ ობიექტს წარმოადგენს ტიანძიაჯენის (ძიუძიანის დასავლეთით, იანძის ჩრდილოეთ ნაპირზე) ფორტი. იაპონელებმა აქ თავი მოუყარეს თავის საუკეთესო ერთეულებს, რომლებიც უკვე 10 დღეა საარტილერიო, სამხედრო გემებისა და განუწყვეტელი საჰაერო ყუმბარმშენის დახმარებით შეტევას აწარმოებდნენ ამ მნიშვნელოვან პუნქტზე. ჩინელთა ჯარები განსაკუთრებული მედგრობის, სიმამაცისა და მანევრიანობის მაგალითს იძლევიან. ბრძოლის კრიტიკულ მომენტში ფორტის არტილერიის დიდი ნაწილი მოხსნილი იქნა პოზიციებიდან და გადატანილ იქნა მნიშვნელოვან მანძილზე, რათა დახმარება გაეწიათ ჩინეთის ჯარის კონტრიერიშებისათვის. იაპონელთა ყველა იერიში, როგორც ჩრდილოეთიდან, ისე იანძის მხრიდან, მოგერიებულ იქნა.

24 სექტემბერს იაპონელებმა განაახლეს შეტევა იანძის სამხრეთ ნაპირის გასწვრივ ფუჩიკოუს (იანძის სამხრეთ ნაპირზე, ტიანძიაჯენის პირდაპირ) მიმართულებით. ამგვარად, იაპონელთა შეტევა ტიანძიაჯენზე საზღვაო და საავიაციო ძალთა დახმარებით სწარმოებს ჩრდილოეთიდან, იანძის ჩრდილოეთ ნაპირის გასწვრივ და სამხრეთ ნაპირის გასწვრივ, ძიუძიანიდან ფუჩიკოუსაკენ მიმავალი ხაზით.

ჩინეთის ჯარი ზედიზედ იკავებს სიმაღლეებს და დასავლეთიდან უახლოვდება უშუალოდ გუანძის. ბრძოლის უკანასკნელი დღის განმავლობაში ჩინელთა ჯარმა იაპონელებს წაართვა რამდენიმე ქვემეხი, 12 მძიმე და 30 მსუბუქი ტყვიამფრქვევი, 200 შაშხანა, შხამიანი კვამლის გამომშვები კოჭები და რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი.

ბელგიის თავდაცვითი ღონისძიებანი

პარიზი, 25 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „პტი პარიზიენის“ ბრიუსელელი კორესპონდენტის ცნობით, ბელგიაში არმიაში გაწვეულნი არიან სპეციალისტები, რომელნიც სხვადასხვა სახის საინჟინრო სათადარიგო ჯარს ეკუთვნიან. გაწვეული სპეციალისტები იგზავნებიან ბელგიის სასაზღვრო გამაგრებულ რაიონებში.

გუშინ ბელგიის მთავრობის მეთაურმა მიიღო საფრანგეთის ელჩი, გერმანიის საქმეთა რწმუნებული, ინგლისის ელჩი და ჰოლანდიის დესპანი.

ბელგიის სააგენტო შემდეგ ცნობას გადმოგვცემს:

„საქმეს გაცნობილი წრეები იუწყებიან, რომ მოლაპარაკების დროს, რომელიც მთავრობის ხელმძღვანელს სპააკს ჰქონდა საფრანგეთისა და ინგლისის ელჩებთან, გერმანიის საქმეთა რწმუნებულთან და ჰოლანდიის დესპანთან, დადასტურებულ იქნა ცნობები ბელგიის მთავრობის მიერ ბელგიის საზღვრებზე ზოგიერთ გამაფრთხილებელ სამხედრო ღონისძიებათა შესრულების შესახებ.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

აღმოსავლეთის ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს 24 სექტემბრის ოფიციალური ცნობის თანახმად, ებროს ზონაში მეამბოხეთა ჯარს, რომელსაც არტილერია, 90 ყუმბარმშენი და 160 გამანადგურებელი ეხმარებოდა, მთელი დღის განმავლობაში გააფთრებით მიჰქონდა იერიში რესპუბლიკელთა პოზიციებზე. რესპუბლიკელთა მედგარი წინააღმდეგობის შედეგად ფაშისტებმა ვერც ერთი ნაბიჯით ვერ მოახერხეს წინ წაწევა.

რესპუბლიკელთა ავიაციამ ინტერვენტთა 4 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

ლევანტის ფრონტი

რესპუბლიკელთა ჯარმა დაიკავა ფუენტე დე გარაბაია და ორი მაღლობი მანსანერას ახლოს. უკანასკნელი ბრძოლის დროს რესპუბლიკელთა საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო „სავოიას“ ტიპის სამმოტორიანი ყუმბარმშენი.

ცენტრალური ფრონტი

ფაშისტთა იერიში პუერტო მალაკოსტოზე, ლა გრანხას (მადრიდის ჩრდილოეთ-დასავლეთით) სექტორში მთლიანად იქნა მოგერიებული რესპუბლიკელთა მიერ.

ფრონტის ესტრემადურის უბანზე, ესპიელის (კორდოვის ჩრდილოეთ-დასავლეთით) სექტორში, მეამბოხეებმა ხუთჯერ მიიტანეს კონტრიერიში იმ პოზიციებზე, რომლებიც მათ რესპუბლიკელებმა წაართვეს უკანასკნელ ბრძოლაში. რესპუბლიკელებმა ეს კონტრიერიშები მოიგერიეს და დიდი ზარალი მიაყენეს ფაშისტებს.

სამხრეთის ფრონტი

იტალიელთა 10 თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა ქალაქ ალკოის (ალიკანტეს პროვინციაში). დანგრეულია 17 შენობა. სამოქალაქო მოსახლეობიდან მოკლულია 7 კაცი და დაჭრილია 15.

კუნ სიან-სის განცხადება

ლონდონი, 25 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ჩუნცინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 23 სექტემბერს მას საუბარი ჰქონდა ჩინეთის აღმასრულებელი იუანის (პალატის) თავმჯდომარე კუნ სიან-სისთან. კუნ სიან-სიმ განაცხადა: ჩინეთი ერთა ლიგისაგან მოელის, რომ იგი პატიოსნად შეასრულებს თავის ვალდებულებებს, რაც ერთა ლიგის წესდებით არის დადგენილი. კუნ სიან-სიმ აღნიშნა, რომ ერთა ლიგის მარცხი 1931 წელს დაიწყო მანჯურიაში იაპონელთა აგრესიასთან დაკავშირებით, როდესაც ლიგის პასიურმა პოზიციამ ხელი გაუხსნა აგრესიულ ძალებს და მიგვიყვანა თანამედროვე მდგომარეობამდე ჩინეთში, აგრეთვე საშიშ კრიზისამდე ევროპაში. „დადგა ჟამი, — განაცხადა კუნ სიან-სიმ, — როდესაც საჭიროა კონკრეტული მოქმედებანი და არა აკადემიური ფრაზები“.

კადრი ფილმიდან: „დიადი განთიადი“, სურათზე: ვ. ი. ლენინი (მსახ. კ. მიუფკე), ი. ბ. სტალინი (მსახ. მ. გელოვანი) და სვეტლანა (მსახ. თამარა მაკაროვა). ფოტო სახკინმრეწვის კინო-სტუდიისა.

*

„დიადი განთიადი“

სახკინმრეწვის თბილისის კინოსტუდია ამთავრებს ისტორიულ-რევოლუციური ფილმის „დიადი განთიადის“ გადაღებას.

თავისი სიუჟეტით და მხატვრული იდეით ეს ფილმი დიდი მოვლენაა საბჭოთა კინემატოგრაფიაში, რომელმაც უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ თემაზე ბევრი საყურადღებო ნაწარმოები შექმნა.

„დიადი განთიადის“ მოკლე შინაარსი ასეთია:

იმპერიალისტური ომის დროს ფრონტზე ხვდებიან ერთმანეთს თავადი მიქელაძე და პროლეტარი გიორგი ლუდუშაური. უკანასკნელი ფრონტზე უახლოვდება პიტერის მუშას — ბოლშევიკს ეროშოვს, რომელიც მასში აღვივებს პროლეტარულ შეგნებას. თავადი მიქელაძე კი მოტრფიალეა თავისი ქვეყნის „დამოუკიდებლობისა“ რომელიმე უცხო სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ.

ლუდუშაური — მებრძოლია თავისი ქვეყნის ბოლშევიკური თვითგამორკვევისათვის.

ეროშოვთან და პანასიუკთან ერთად გ. ლუდუშაური მიემგზავრება პიტერს „პრავდისათვის“ ფრონტზე შეგროვილი წვლილის გადასაცემად. აქ იგი უშუალოდ განიცდის პარტიის ბელადების — ლენინისა და სტალინის გავლენას. ის მონაწილეობას იღებს 3 ივლისის დემონსტრაციაში, ესწრება პარტიის მე-6 ყრილობას, მონაწილეა შემტევი ბრძოლებისა კაპიტალისტთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მიუხედავად კაპიტულიანტების წინააღმდეგობისა, ხორციელდება ლენინ-სტალინის ოქტომბრის აჯანყების დიადი გეგმა: დროებითი მთავრობა დამხობილია, გამარჯვებას ზეიმობს პეტროგრადის პროლეტარიატი, გამარჯვებას ზეიმობენ ყველა ხალხები. იწყება ახალი დიადი განთიადი, რომელმაც უნდა განანათლოს მთელი მსოფლიო.

იშვიათი სიზუსტით არის ნაჩვენები ფილმში ბოლშევიკური პარტიის ბრძოლის ეტაპები ივნისიდან დიადი ოქტომბრის რევოლუციამდე პროლეტარიატის უდიდესი ბელადების **ლენინისა და სტალინის** ხელმძღვანელობით.

ვ. ი. ლენინის როლს ფილმში ასრულებს თბილისის გრიბოედოვის სახ. თეატრის მსახიობი — **კ. მიუფკე**, ი. ბ. სტალინის როლს—რუსთაველის სახ. ორდენოსანი თეატრის მსახიობი—**მ. გელოვანი**, გ. ლუდუშაურის როლს ასრულებს ორდენოსანი-მსახიობი **ს. ზალაშვილი**, სვეტლანას როლს — **თამარა მაკაროვა**, პიტერის მუშის ეროშოვის როლს — **ვ. მატოვი**, პანასიუკის როლს — **დ. ივანოვი**. ფილმში მონაწილეობენ აგრეთვე მსახიობები — ორდენოსანი **ა. ჟორჟოლიანი, ი. პერესტიანი, მ. ჩიხლაძე** და სხვ.

ფილმის რეჟისორია ლენინის ორდენოსანი რეჟისორი **მიხ. ჭიაურელი**, რომელიც ამავე დროს სცენარისტ გ. ცაგარელთან ერთად სცენარის ავტორიცაა. ფილმის მთავარი ოპერატორია **ა. დიღმელი**, ოპერატორი **ა. პოლიკევიჩი**, ბგერწერის ოპერატორი—**ვ. დოლიძე**, კომპოზიტორი — **ი. გოკიელი**, მხატვარი— **შ. მამალაძე**, ასისტენტები **ი. თარხნიშვილი** და **შ. გედევანიშვილი**, გახმოვანებაზე მუშაობს **ვ. დოლენკო**.

ფილმი გამოშვებული იქნება ოქტომბრის რევოლუციის 21 წლისთავისათვის.

გაზეთ „ბოეც რკკა“-ს 20 წლისთავი

23 სექტემბერს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის მებრძოლებმა, მეთაურებმა, პოლიტმუშაკებმა და სამხკორებმა ზეიმით აღნიშნეს თავისი უძველესი მებრძოლი გაზეთის „ბოეც რკკა“-ს არსებობის 20 წლისთავი.

წითელი არმიის საოლქო სახლის საზაფხულო პარკში შესდგა საზეიმო სხდომა.

საპატიო პრეზიდიუმში კრებამ მხურვალე ტაშით აირჩია მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადი ამხანაგი **სტალინი**, აგრეთვე ამხანაგები: **მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი, ეჟოვი, ჟდანოვი, ხრუშჩოვი, ტელმანი და ხოზე დიასი.**

საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ თავის მებრძოლ გაზეთს მიესალმნენ წითელი არმიის მებრძოლები. № ნაწილებიდან „ბოეც რკკა“-ს მიესალმნენ ამხ. რომანენკო, ხაჩატრიანი, კრასილნიკოვი და სხვ. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა გაზ. „კომუნისტის“ რედაქციის წარმომადგენელი ამხ. ბ. აბულაძე.

დიდი ყურადღებით მოისმინეს დამსწრეებმა გაზეთის რედაქტორის, ათასეულის კომისრის ამხ. ე. ზუბენკოს საანგარიშო მოხსენება. ამხ. ზუბენკომ გადაშალა დამსწრეთა წინაშე „ბოეც რკკა“-ს ბრძოლის სახელოვანი ფურცლები და განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ პერიოდს, როცა მას უშუალოდ ამხანაგი **ს. მ. კიროვი** ხელმძღვანელობდა, როცა მას მწერალი-კომუნისტი ამხ. **დ. ფურმანოვი** რედაქტორობდა.

რედაქტორის მოხსენების შემდეგ კრებაზე გამოქვეყნდა ბრძანება ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის მიმართ, გამოცემული გაზეთ „ბოეც რკკა“-ს 20 წლისთავთან დაკავშირებით. ოლქის სამხედრო საბჭომ მადლობა გამოუცხადა გაზეთისა და გამომცემლობის მუშაკთა მთელ კოლექტივს, სტამბის მუშებს და სამხკორებს და ძვირფასი საჩუქრებით დააჯილდოვა ისინი.

„უდანაშაულოდ დამნაშავენი“

პრემიერა რუსთაველის თეატრში

გუშინ რუსთაველის ლენინის ორდენოსანმა თეატრმა უჩვენა მაყურებლებს მიმდინარე წლის სეზონის პირველი პრემიერა.

დაიდგა **ა. ნ. ოსტროვსკის** პიესა **„უდანაშაულოდ დამნაშავენი“** (რეჟისორი—სსრ კავშირის სახ. არტისტი **აკ. ვასაძე**, მხატვარი—**ს. თევზაძე**, მუსიკა—**ი. გოკიელის**).

მთავარ როლებს ასრულებდნენ— რესპუბლიკის სახ. არტისტი **ნუცა ჩხეიძე** (კრუჩინინა), რესპუბლიკის სახ. არტისტი **გ. დავითაშვილი** (ნეზნამოვი), სსრ კავშირის სახალხო არტისტი **აკ. ვასაძე** (შმაგა), რესპ. დამს. არტისტი **ნ. ჯავახიშვილი** (გალჩიხა), **ემ. აფხაიძე, გ. სალარაძე, რ. ბაქრაძე, ფ. ჰანტურია** და სხვ.

სპექტაკლმა დიდის წარმატებით ჩაიარა.

საკავშირო შეჯიბრება ჩოგბურთში

25 სექტემბერს, დილის 11 საათზე თბილისში ჩოგბურთის სტადიონზე გაიხსნა ხელოვნების მუშაკთა პირველი სრულიად-საკავშირო შეჯიბრება ჩოგბურთში.

შეჯიბრების ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტს თავმჯდომარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **აკაკი ალექსის-ძე ხორავა**. შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობს ხელოვნების 70-მდე მუშაკი მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, როსტოვის, თბილისის, ერევნის და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებისა. შეჯიბრების მონაწილეთა შორის არიან: სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის არტისტი გ. მ. ცეიტლინი (მოსკოვი), მხატვარი ფ. ვ. ანტონოვი (მოსკოვი), კიროვის სახელობის ლენინგრადის თეატრის რეჟისორი ა. ნ. მოროზოვი, ხარკოვის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრის არტისტი ი. მ. ფარბერი და სხვ. ხელოვნების მუშაკთა ასეთი რაოდენობა პირველად გამოდის სასპორტო მოედანზე ასე ორგანიზებულად.

შეჯიბრება გასტანს 29 სექტემბრამდე, რის შემდეგ მონაწილეებს განზრახვა აქვთ ინახულონ გორი და დაათვალიერონ ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი. (საქდესი).

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში

27 სექტემბერს:

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — ლექცია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის პირველი თავის მიხედვით: ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის რუსეთში (1883—1901 წლები), ლექტორი რუსულ ენაზე ამხ. ყიფშიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი — ლექცია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის პირველი თავის მიხედვით: ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის რუსეთში (1883—1901 წლები). ქართულ ენაზე — ლექტორი ამხ. პ. ჯიბლაძე დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

27 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კლუბის შენობაში (პლეხანოვის პროსპექტი № 136) შესდგება საკ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიონის პარტკომების მდივნების, პარტორგებისა და პარტქსელის პროპაგანდისტთა თათბირი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938/39 წ. სეზონი
27 სექტემბერს წარმ. 11
28 სექტემბერს წარმ. 12
პრემიერა
ან. ოსტროვსკი
უდანაშაულოდ დამნაშავენი
კომედია 4 მოქმ. თარგმანი ელო ანდრონიკაშვილისა.
დადგმა აკ. ვასაძისა—(სსრკ სახ. არტისტი. ორდენოსანი)
მხატვარი ს. თევზაძე, მუსიკა ივ. გოკიელის.
გამოცხადებული რიცხვების ბილეთები პრემიერაზე იყიდება ამთავითვე.
სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღ. 8 საათზე. 100

საქფილემონიის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50
27 სექტემბერს ტალონი № 19
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი-ორდენოსანი
ლიუბოვ ორლოვა
(ფილმების „ცირკი“, „მხიარული ახალგაზრდები“ და სხვ. გმირი)
ბილეთები იყიდება. დასაწყ. საღ. 9 ს. 30 წ.
ღია ესტრადა 27 სექტემბერს
ხმოვანი ფილმი „ცირკი“
ლიუბოვ ორლოვას მონაწილეობით.
შესვლა ღია ესტრადაზე ბაღის შესასვლელი ბილეთებით.
დასაწყ. საღ. 9 ს. 30 წ.

ექიმთა და მოსახლეობის საყურადღებოდ
ამ. ს. ძ. მთავარ სააფთიაქო სამმართველოს მეღბაზას ამჟამად აქვს საკმაო მარაგი ქვემოთ ჩამოთვლილი სამკურნალო საშუალებებისა: (მედიკამენტების)

1. ასკილის თესლი	Fructus cinosbati
2. ალოფორმი	Alloformi
3. ბრომ-წყალბადმჟავა ქაფური	Camphora bromata
4. გვირილის ყვავილები	Flores chamomilae
5. იოდმჟავა ნატრიუმი	Natr. jodatum
6. იოდმჟავა კალიუმი	Kal. jodatum
7. კალციუმის ქლორიდი	Calci chlorati
8. ვერონალი (ფხვნილად)	Yeronal (pulverata)
9. ბრომურალი (ფხვნილად)	Bromural (pulverata)
10. ადრენალინი (წვეთები)	Adrenalinum guttas

ყველა აღნიშნული საშუალებანი მსურველთ შეუძლიათ მიიღონ სათანადო წესების დაცვით საქ. რესპუბლიკის ყველა აფთიაქში საჭირო რაოდენობით.
უარის შემთხვევაში მიმართეთ მთ. სააფთიაქო სამმართველოს მეღბაზას თბილისში, კამოს ქ. № 76.
ტელეფონი 3-17-70.
1322 დირექცია.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი.

27/IX	28/IX	29/IX
წარმოდგენა 11 უდანაშაულოდ დამნაშავენი	წარმოდგენა 12 უდანაშაულოდ დამნაშავენი	წარმოდგენა 13 სულელი

სალარო ღიაა დილის 12-დან საღამოს 9 საათამდე. დასაწყისი 8 ს.

საჭიროა ინჟინერ-ელექტრიკოსები,
რომლებიც იცნობენ საფაბრიკო-საქარხნო დანადგარებს, მუდმივ სამუშაოდ და საცხოვრებლად: ქუთაისში, ბათუმში, ფოთში და ზესტაფონში.
პირობები შეთანხმებით.
ცნობებისათვის მიმართეთ საქენერგოს ელექტროგასაღებას, ქალ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 18, მე-2 სართული.
276

საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი აცხადებს
დაუსწრებელ სექტორზე სტუდენტთა მიღებას 1938 წელს.
მიიღებიან უპირატესად წარმოების მუშები (ორივე სქესისა, ასაკის მიუხედავად), დასრულებული საშუალო განათლების მქონენი—გამოცდების ჩაბარების შემდეგ ს. ს. ს. რ. სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლეს სკოლათა საკავშირო კომიტეტის პროგრამებით.
ს. ი. ი-ს დაუსწრებელ სექტორს აქვს ფაკულტეტები შემდეგი სპეციალობებით:
1. სამშენებლო—სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.
2. ენერგო-მექანიკური—ელსადგურები, ქსელები და სისტემები; საქარხნო-საფაბრიკო მექანიკა.
3. სამთო—მთამადნეულის საბადოების დამუშავება; გეოლოგია და მთამადნეულის საბადოების კვლევა.
მეცადინეობა სწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, სპეციალური სასწავლო ცხრილით, პროგრამებითა და საკონტროლო დავალებებით, რომლებიც ეგზავნებათ დაუსწრებლებს.
სწავლება უფასოა. სახელმძღვანელოებსა და სასწავლო ნივთებს დაუსწრებლები თავის ხარჯზე იძენენ.
ჩასათვლელ—ლაბორატორიული სესიების პერიოდში დაუსწრებლებს ეძლევათ დამატებითი შვებულება ხელფასის შენახვით.
განცხადებების მიღება სწარმოებს 15 ოქტომბრამდე, როგორც ქალ. თბილისში (საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტი—სასწავლო შესახვევი № 2/4), ისე რაიონულ წერტებშიაც:
1. ბათუმში—ინდუსტრიულ ტექნიკუმთან—მარქსის ქ. № 2
2. ქუთაისში—ინდუსტრიულ ტექნიკუმთან—ლიბკნეხტის ქ. № 10
3. ფოთში—ჰიდრომელიორატიულ ტექნიკუმთან—კიროვის ქ. № 13
4. ჭიათურაში—მარგანტრესტის შრომის განყოფილებასთან
შემომსვლელთ ამ წერტებში ეძლევათ დაწვრილებითი განმარტებები და იქვე ჩატარებულ იქნება პირადი გამოცდები 15-დან 29 ოქტომბრამდე.
მეცადინეობა დაიწყება 1-ლ ნოემბერს.
საქ. ინდ. ინსტიტუტის დირექტორი: ბოჯგუა.
1320 დირექტ. თანაშემწე დაუსწრებელ სექტორში: შარმაზანაშვილი.

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, პ. მგ. მდივნის მოადგილისა 3—06—83, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ., № 58. მთავლიტის რწმუნებული ბ—261